სსიპ. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ანგარიში !

2013

APA

1/1/2013

1 ადმინისტრაციული სამსახური

1.1. თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსი 6
ცენტრალური აპარატი 6
ტერიტორიული ადმინისტრაციები 6
სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი 7
1.2. თანამშრომელთა ტრენინგი 7
1.2.1 ცენტრალური აპარატი 7
1.2.2 ტერიტორიული ადმინისტრაციები 8
სერვის+ 8
ელექტრონული საქმის წარმოების პროგარამა 8
იარაღის ადმინისტრირება 9

2 ეკონომიკური სამსახური

2.1 სახელმწიფო ბიუჯეტი 10
2.2 ტენდერები 11
2.3 სააგენტოს საკუთარი შემოსავლები 11
2.4 ,,კავკასიის ბუნების ფონდი“(CNF) მიერ გამოყოფილი გრანტი 12
2.5 ოკაცეს კანიონის ტურისტული ინფრასტრუქტურა 12

3 იურიდიული სამსახური

3.1 კანონშემოქმედებითი საქმიანობა 14
3.2 კანონქვემდებარე აქტების მომზადება 14
3.3 საგრანტო ხელშეკრულებები 14
3.4 სასამართლო წარმომადგენლობა 14

4 ინსპექტირების სამსახური

4.1 ხეტყის უკანონო ჭრის ფაქტი 16
4.2 გარემოზე მიყენებული ზიანის გაანგარიშება 17
4.3 ტერიტორიული ადმინისტრაციების მიერ გამოყოფილი ტყეკაფების შემოწმება 18
4.4 მომსახურეთა დისციპლინური გადაცდომის ფაქტები 18

5 საერთაშორისო ურთიერთობები

5.1 WWF/BMZ/დაცული ტერიტორიების სააგენტო/აზერბაიჯანის მთავრობა ქურციკებისა და ნიამორების რეინტროდუქცია 19

5.2 ევროკავშირი/დაცული ტერიტორიების სააგენტო - თვინინგის პროექტი 20

5.3 CNF/დაცული ტერიტორიების სააგენტო - ხუთი დაცული ტერიტორიისათვის საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება 20

5.4 ზურმუხტის ქსელის შექმნა საქართველოში - II ფაზა 21

5.5 BMZ/KfW/WWF - ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნა საქართველოში 22

5.6 USAID - ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა საქართველოს წყალშემკრებ აუზში 23

5.7 USDOI - ტრენინგები დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელთათვის 24

5.8 CzDA - თუშეთის უზრუნველყოფა განახლებადი ენერგიით 25

5.9 GEF/UNDP - აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა 25

5.10 საპროექტო განაცხადები 25

5.11 CzDA/ISCA - იმერეთის მღვიმეების მართვის გაუმჯობესება 26

5.12 EU/ClimaEast/UNDP - ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე საძოვრების მდგრადი მართვის ხელშეწყობა 26

5.13 მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციასა/დაცული ტერიტორიების სააგენტო - ერთობლივი თანამშრომლობა 27

5.14 ახალი დონორი - თიბისი ფონდი 27

5.15 ახალი დონორი - ქართუ ფონდი 27

5.16 ჯანმრთელობის დაზღვევა 28

5.17 TJS/ დაცული ტერიტორიებისსააგენტო - ერთობლივი თანამშრომლობა 28

5.18 ენერგოტრანსი/ბორჯომ ხარაგაულის ეროვნული პარკის - საკომპენსაციო ღონისძიებები 29

5.19 ფიჭვების ხმობის პრობლემა თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე 30

5.20 KfW/დაცული ტერიტორიების სააგენტო - ეკორეგიონის კონსერვაციის პროგრამა სამხრეთ კავკასია 30

6 მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

6.1.სააგენტოს განახლებული ვებგვერდი 32

6.2.საერთაშორისო გამოფენები 32

6.3.სარეკლამო ინფორმაცია კატალოგებში 32

6.4.სარეკლამო ბანერები გარე მონიტორებზე 33
6.5.ტურები ფოტო მოყვარულთათვის 33
6.6. სარეკლამო ინტერნეტ ბანერები 33
6.7.დამზადდა პრომეთეს მღვიმის სარეკლამო რგოლი 34
6.8.გაცნობითი საინფორმაციო და პრესტურები 34
6.9.ველოტურები დაცულ ტერიტორიებზე 34
6.10.საერთაშორისო ფოტოგამოფენა 34
6.11.საინფორმაციო-შემეცნებითი გადაცემები 35
6.12.ინტერაქტიული რუკა 35
6.13 .ინფორმაციის გავრცელება 35

7 დაგეგმვისა და განვითარების სამსახური

7.1. ეკოტურიზმი 36
7.1.1. საინფორმაციო ვებგვერდის განახლება 36
7.1.2 “Safari Tours” ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე 36
7.1.3 თოვლის ფეხსაცმელები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში 37
7.1.4 შეხვედრები ტურიზმის მიმართულების სტუდენტებთან 37
7.1.5 ადგილობრივი გამოფენები 38
7.1.6 სტატისტიკა 38
7.1.7 ვიზიტორთა რაოდენობა 38
7.1.8 უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სტატისტიკა 39
7.1.9 გეგმის გარეშე განხორციელებული აქტივობები 40

7.2 ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია

7.2.1. ეკოსაგანმანათლებლო აქტივობები 41
7.2.2 2013-2015 წწ-ის ეკოსაგანმანათლებლო სტრატეგია და მოქმედების გეგმა 42
7.2.3 სოციოლოგიური გამოკითხვა დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაში 43
7.2.4 თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან 43

7.2.5 აქტივობები მწვანე კალენდრის მიხედვით 44

7.3 ბუნებრივი რესურსების მართვა

7.3.1 ბუნებათსარგებლობის რეჟიმის დასაცავად მიმიართული ღონისძიებები.....46

7.3.2 რეინჯერთა საქმიანობის ინსტიტუციონალური განვითარება 46

7. 3. 3 სამართალდარღვევები 47

7. 3. 4 ხანძრებთან ბრძოლის ქმედებები 48

7. 3. 5 ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა 48

7. 3. 6 ცვლილებები დაცული ტერიტორიების ზონირებაში 48

7. 3. 7 კონფლიქტი მოსახლეობასა და ველური ბუნების წარმომადგენლებს შორის 49

7. 3. 8 დაცული ტერიტორიების საზღვრების დადგენისათვის განხორციელებული ქმედებები 49

7. 3. 9 დაცული ტერიტორიების სისტემის ტერიტორიული გაფართოება 49

7.4 სამეცნიერო კვლევა/მონიტორინგი

ბუნებრივი რესურსების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება.....50

წითელი ნუსხის სახეობებზე მონიტორინგი 51

დაცულ ტერიტორიებზე განხორციელებული სამეცნიერო კვლევები 53

ილიას უნივერსიტეტის კვლევა მსხვილფეხა ჩლიქოსანთა რაოდენობის დასადგენად.....55

ფოტოხაფანგებით მონიტორინგის შედეგები.....57

1.ადმინისტრაციული სამსახური

ადმინისტრაციული სამსახური სააგენტოს სისტემის მასშტაბით ახორციელებს თანამშრომელთა საშტატო ნუსხის ადმინისტრირებას, საქმისწარმოების დასრულებული დოკუმენტაციის აღრიცხვას და დაარქივებას, სამსახურებრივ-საშტატო იარაღისა და საბრძოლო მასალის აღრიცხვის, თანამშრომელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ საკითხების მოგვარებას. სამსახური ასევე ორგანიზებას უწევს თანამშრომელთა და სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსებს და აწარმოებს თანამშრომელთა პირად საქმეებს.

1.1 თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსი

დასახული მიზნებისა და ამოცანების ეფექტურად შესრულებისათვის, აუცილებელია სწორი საკადრო პოლიტიკის ფორმირება, რომელიც ხორციელდება სააგენტოს მიერ. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სააგენტოს სწრაფი ტემპებით განვითარებას და ხელს უწყობს ახალი ინოვაციური იდეებისა და ხედვების ჩამოყალიბებას. ამდენად სააგენტოში პერმანენტულად ცხადდება საჯარო კონკურსები, რომელიც მიმდინარეობს შეჯიბრობითობის პრინციპის დაცვით თანასწორუფლებიანობის პირობებში. კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტი ხდება სააგენტოს მნიშვნელოვანი რგოლი. 2013 წლის განმავლობაში ადმინისტრაციული სამსახურის მიერ ამ მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

ცენტრალური აპარატი: დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა შერჩევის მიზნით, 2013 წლის 2 ოქტომბიდან გამოცხადდა საჯარო კონკურსი. შესარჩევ კონკურსში შემოტანილ იქნა 1,571 განაცხადი. კონკურსის მე-2 ეტაპზე (გასაუბრება) გადავიდა 106 კონკურსანტი. გასაუბრება ჩატარდა წინასწარ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად - 2013 წლის 1 ნოემბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით. ჩატარებული გასაუბრების შედეგად საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, დასანიშნად წარდგენილ იქნა 20 კონკურსანტი; ამავე 106 კონკურსანტიდან დანიშვნაზე უარი ეთქვა 55 კონკურსანტს, მონაწილეობაზე უარი განაცხადა ერთმა კონკურსანტმა და გასაუბრებაზე არ გამოცხადდა 30 კონკურსანტი.

ტერიტორიული ადმინისტრაციები: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომლების შერჩევის მიზნით 2013 წლის 1 ნოემბრიდან გამოცხადდა კონკურსი. საკონკურსოდ გამოქვეყნებულ 140 ვაკანსიაზე შემოვიდა 875 განაცხადი. კონკურსის მეორე ეტაპზე გავიდა 507 კონკურსანტი. გასაუბრება ჩატარდა წინასწარ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად - 2013 წლის 25 ნოემბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით. ჩატარებული გასაუბრების შედეგად საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, დასანიშნად წარდგენილ იქნა 123 კონკურსანტი კანდიდატურა; 875 კონკურსანტიდან მონაწილეობაზე უარი განაცხადა 31-მა პირმა და გასაუბრებაზე არ გამოცხადდა 226 ადამიანი. კონკურსი ჩაშლილად გომოცხადდა 17 თანამდებობაზე იმის გამო, რომ ვერ მოხდა შესაფერისი კანდიდატურების შერჩევა.

სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი

სტაჟიორთა ინსტიტუტი სწორი საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რადგან სტაჟირება ხელს უწყობს თანამშრომლებს შორის ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას და ახალგაზრდა კადრების ზრდას. მნიშვნელოვანია, რომ დამატებითი ფინანსური დანახარჯების გარეშე, საფუძველი ეყრება ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობას. სააგენტო ეხმარება სტაჟიორს პროფესიული ჩვევების ჩამოყალიბებაში და შემდგომში ხელს უწყობს მის დასაქმებას. სტაჟირების წარმატებულად გავლის შემთხვევაში სტაჟიორს ეძლევა შესაბამისი სერტიფიკატი, ხოლო ზოგიერთი მათგანი საქმდება სააგენტოს სისტემაში; 2013 წლის განმავლობაში სააგენტოს სისტემაში დასაქმდა 1 სტაჟიორი, ხოლო 3 ყოფილი სტაჟიორი ამჟამად დასაქმებულია სხვა უწყებებში, რაც საკმაოდ მნიშვნელოვან აქტივს წარმოადგენენ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ყოველდღიურ საქმიანობაში.

სტაჟიორთა შერჩევის კუთხით ადმინისტრაციული სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები: 2013 წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცენტრალურ აპარატსა და ტერიტორიულ ადმინისტრაციებში ჩატარდა შესარჩევი კონკურსი. სულ შემოვიდა 562 განაცხადი, კონკურსის შედეგად სააგენტოს სისტემაში დაინიშნა 17 სტაჟიორი. სააგენტო მომავალი 2014 წლის განმავლობაში აპირებს სტაჟიორთა აყვანას, ხოლო ყოფილი სტაჟიორების პერსონალური მონაცემები ინახება ადმინისტრაციულ სამსახურში და საჭიროების შემთხვევაში მოხდება მათი კანდიდატურების გამოყენება.

1.2 თანამშრომელთა ტრენინგი

სააგენტოს სისტემის თანამშრომელთა განვითარება სააგენტოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ამ მხრივ დიდი ყურადღება ექცევა სამუშაო პროცესში ახალი ტექნოლოგიებისა და დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში არსებული საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად, 2013 წლის განმავლობაში ადმინისტრაციული სამსახურის ორგანიზებით ცენტრალური აპარატის და ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომლებს ჩაუტარდათ შემდეგი სახის ტრენინგები:

1.2.1 ცენტრალური აპარატი

- სააგენტოს ცენტრალური აპარატის 20-მდე თანამშრომელმა იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრში გაიარა სხვადასხვა სახის ტრენინგები, რომელიც მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიც არის: ლიდერობა, ეფექტური კომუნიკაცია, ბიზნესის ადმინისტრირება.

- სააგენტოს ცენტრალური აპარატის 10-მდე თანამშრომელმა GIPA-ში გაიარა ტრენინგი ფინანსური მენეჯმენტის საკითხებში.

- სააგენტოს ცენტრალური აპარატის 20-მდე თანამშრომლისთვის დაიგეგმა ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს. ენის ცოდნის

მიხედვით, ჯგუფები 3 კატეგორიად დაკომპლექტდა. თითოეული საფეხურის დამთავრების შემდეგ, თანამშრომლებს უტარდებათ ტესტი განვლილი მასალის ცოდნის შესაფასებლად, რაც წარმოადგენს შემდეგ საფეხურზე გადასვლის საფუძველს. რამდენიმე თანამშრომელმა, რომელმაც ვერ გადალახა ტესტი ამოირიცხა სწავლების პროგრამიდან.

1.2.2 ტერიტორიული ადმინისტრაციები:

- სააგენტოს 2013 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, შიდა რესურსების გამოყენებით (ცენტრალური აპარატის თანამშრომლების მიერ) ტრენინგი ჩაუტარდათ ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომლებს. სულ 30-მდე თანამშრომელმა გაიარა ტრენინგი ისეთ საკითხებში, როგორიც არის: შინაგანაწესის გაცნობა; უფლება-მოვალეობების განმარტება; ქცევის ზოგადი წესები.

- **სერვის +:** ვიზიტორთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, „სერვის +"-ის ტრენინგი ჩაუტარდა იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის 30 თანამშრომელს; ტრენინგის დროს თანამშრომლებმა კვალიფიკაცია აიმაღლეს ისეთ სფეროებში, როგორიც არის დამაჯერებელი კომუნიკაცია (მეთოდები, წესები, ხმის ტემბრი), შეტყობინების გავრცელების ფორმები, უკუკავშირი/გამოხმაურება, ქცევის წესები, შეტყობინების სწორად მიღება და გადაცემა, კონფლიქტების მოგვარება, რთული სიტუაციები – პრობლემის პოზიტიურად გადაწყვეტა და ა.შ.
- **ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა:** სააგენტოს საქმისწარმოებისა და კადრების ელექტრონულ პროგრამაში ჩართვის მიზნით, ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყო ცენტრალური აპარატის 50-მდე თანამშრომლის გადამზადება. ელ. საქმისწარმოების შემდგომში ტერიტორიულ ადმინისტრაციებში დანერგვის მიზნით, შეიქმნა ახალი შაბლონები, გაიწერა უფლებები და სტრუქტურულ ხეში ჩართულ იქნა 17 ტერიტორიული ადმინისტრაცია.
- **იარაღის ადმინისტრირება:** 2013 წლის განმავლობაში შსს სამინისტროსთან ცეცხლსასროლი იარაღების ჩამონათვალისა და მონაცემების ურთიერთშეჯერების შედეგად, აღმოიფხვრა საიდენტიფიკაციო მონაცემებში არსებული უზუსტობები. სააგენტოს ბალანსზე არსებული ზოგიერთი ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არ ფიქსირდებოდა, შეყვანილ იქნა ჩამონათვალში. ამგვარად ადმინისტრაციული სამსახურის მიერ:

ა) შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში გასაგზავნად მომზადდა 45-მდე წერილი იარაღის მოწმობის გაცემა/გაუქმებასთან დაკავშირებით;

ბ) ჩატარდა ცეცხლსასროლი იარაღების ინვენტარიზაცია და შეიქმნა მონაცემთა ახალი ბაზა იარაღის სახეობისა და საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითებით;

გ) შსს მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობის შედეგად, გასწორდა იარაღის საიდენტიფიკაციო მონაცემებში არსებული ხარვეზები და უზუსტობები, აგრეთვე სააგენტოს ყველა ცეცხლსასროლი იარაღი აისახა შსს მონაცემთა ბაზაში;

დ) გამოუყენებელი ცეცხლსასროლი იარაღების შემდგომში შსს სამინისტროში გადაცემის მიზნით, შეიქმნა ტერიტორიულ ადმინისტრაციებში არსებული ცეცხლსასროლი იარაღების ჩამონათვალი.

2. ეკონომიკური სამსახური

ეკონომიკური სამსახური უზრუნველყოფს ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების დაცვას, ახორციელებს ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული სამსახურების ფუნქციონირების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. სამსახური ასევე ორგანიზებას უწევს სისტემაში სახელმწიფო შესყიდვებს, ახორციელებს საბიუჯეტო, საფინანსო და საბუღალტრო საქმიანობას.

2.1 სახელმწიფო ბიუჯეტი

2013 წლისთვის სააგენტოს დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 10,296,800 ლარი, 2012 წელს - 12,451,400 ლარი, ხოლო 2011 წელს - 10,156,700 ლარი.



2013 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი 21%-ით ნაკლებია 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტზე, თუმცა აღსაღნიშნავია ისიც, რომ 2012 წელს ბიუჯეტში ცალკე პროექტით იყო ჩასმული ,,ოკაცეს კანიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება''. ამ პროექტზე გამოყოფილმა საბიუჯეტო დაფინანსებამ 4 მილიონი ლარი შეადგინა. ამ ფაქტორის გათვალისწინებით 2013 წელს შენარჩუნებულია დაცული ტერიტორიების სააგენტოსათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ზრდის ტენდენცია.

2.2 ტენდერები

2013 წლის განმავლობაში ეკონომიკურმა სამსახურმა გამოაცხადა 156 ტენდერი. აქედან შედგა 69, არ შედგა 73, დისკვალიფიკაცია მიენიჭა 9 პრეტენდენტს, ხოლო 5 - შეწყდა. აღსანიშნავია,

რომ არ შემდგარი 73 ტენდერიდან 29 უკავშირდება რეინჯერების საკვებისა და ფეხსაცმელების შესყიდვას. თუ მოხდება ამ კონკრეტული შემთხვევის უგულებელყოფა შემდგარი ტენდერების მაჩვენებელი შეადგენს 54%-ს (2012 წლისათვის ქვეყანაში შემდგარი ტენდერების მაჩვენებელი მთლიანად დაახლოებით შეადგენს 63%-ს). 2013 წელს გაფორმდა 235 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, ხოლო 2012 წელს 303 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება. ეს მაჩვენებელი 22%-ით ნაკლებია გასულ წელთან შედარებით. შემდგარი ტენდერების დაბალი მაჩვენებელი სააგენტოში სპეციალური განხილვის თემა გახდა. ამ საკითხთან დაკავშირებით დონორი ორგანიზაცია CNF-ის მხრიდან მოხდა საკონსულტაციო კომპანია KPMG-ის დაქირავება, რომელმაც შეისწავლა საკითხი და გაანალიზა პრობლემა. შედეგად შემუშავდა პრობლემის გადაჭრის კონრეტული მექანიზმები რომელთა ეფექტურობა გამოიკვეთება 2014 წლის განმავლობაში.

2.3 სააგენტოს საკუთარი შემოსავლები

დაცული ტერიტორიების სააგენტოს კანონმდებლობით შეუძლია საკუთარი შემოსავლების გამომუშავება. ეს შემოსავლები შეიძლება იყოს როგორც დაცულ ტერიტორიებზე, დაწესებული შესვლის გადასახადი, ისე სხვადასხვა სახის აღჭურვილობის გაქირავებით თუ საკუთარი ქონების კონცესიით მიღებული შემოსავალი. 2013 წელი საკუთარი შემოსავლების გამომუშავების კუთხით იყო საკმაოდ წარმატებული; სააგენტოს საკუთარმა შემოსავალმა პირველად თავის ისტორიაში გადააჭარბა მილიონიან ზღურბლს და შეადგინა 1,023,643 ლარი.

საკუთარი შემოსავლების ეს მაჩვენებელი 41%-ით მეტია 2012 წლის შემოსავალზე (722,732 ლარი). ზოგადად შემოსავლების გამომუშავება აჩვენებდა საკმაოდ მნიშვნელოვან ზრდას უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში. მთავარი დატვირთვა მოდის პრომეთესა და სათაფლიას მღვიმეებზე, სადაც ერთხელ გაკეთებული ინვესტიციით, სახელმწიფო წარმატებით ახერხებს გაწეული ხარჯების ამოღებას.



2.4 „კავკასიის ბუნების ფონდი"-ს (CNF) მიერ გამოყოფილი გრანტი

კავკასიის ბუნების ფონდი (CNF) 2007 წელს დაარსდა და მისი მთავარი მისია კავკასიის ეკო-რეგიონის დაცული ტერიტორიების ფინანსური მხარდაჭერით დაცვა-გაძლიერებაა.

აღსანიშნავია, რომ CNF-თან ხელშეკრულებას ხელი 2010 წელს მოეწერა და დღემდე საკმაოდ პროდუქტიულად მიმდინარეობს თანამშრომლობა. საქართველო საკმაოდ წარმატებული იყო, აღნიშნული ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი თანხების ათვისების საკითხში. ეს საკმაოდ თვალნათელია თუ შევადარებთ CNF-ის საქმიანობას აზერბაიჯანსა და სომხეთში. ორივე ქვეყანასთან შედარებით საქართველოს უფრო მეტი თანხა აქვს ათვისებული. კავკასიის დანარჩენ ორ ქვეყანაში ფონდის მიერ მთლიანად დახარჯული თანხა 712,172 ლარს წარმოადგენს. 2013 წელს საქართველოში კი დაფინანსებამ 751,400 ლარი შეადგინა, ხოლო 2012 წელს ეს მაჩვენებელი 712,354 ლარი იყო.

,,კავკასიის ბუნების ფონდი''-ს მიერ 2013 წელს გამოყოფილი გრანტისა და სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსების ფარგლებში სააგენტოს მიერ შესყიდულია ვაშლოვანის, ლაგოდეხის, თუშეთისა და მტირალას დაცული ტერიტორიების ტურისტული და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო/სარემონტო სამუშაოები. ასევე გრანტის ფარგლებში, ტერიტორიული ადმინისტრაციებისათვის შესყიდულია 8 ერთეული მაღალი გამავლობის ტიპის ავტომობილი და გაცემულია სახელფასო დანამატი 299,999 ლარის ოდენობით.

2.5 ოკაცეს კანიონის ტურისტული ინფრასტრუქტურა

2013 წლის განმავლობაში გრძელდებოდა ,,ოკაცეს კანიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის'' სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოები, რომელიც მთელი რიგი მიზეზების გამო ვერ დასრულდა დადგენილ ვადაში. საკითხი გატანილ იქნა ,,ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემათა შემსწავლელი სამთავრობო კომისიაზე, რის შემდეგაც კომისიამ გასცა სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადის 2014 წლის 1 ივნისამდე გაგრძელების რეკომენდაცია.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ვიზიტორთა ცენტრის, ვანტური ბილიკების, საფეხმავლო ბილიკების, გამშვები პუნქტისა და საზოგადოებრივი საპირფარეშოს მშენებელობა. დაგეგმილია ,,ოკაცეს კანიონი''-ს სახით კიდევ ერთი ფასიანი დაცული ტერიტორიის ამუშავება, რომელიც პრომეთესა და სათაფლიის შემდეგ, ასევე მისცემს სააგენტოს დამატებითი შემოსავლების გამომუშავების საშუალებას.

პროექტს ექნება მნიშვნელოვანი შედეგი - დასაქმებისა და რეგიონის პოპულარიზაციის თვალსაზრისით. კანიონსა და მის მიმდებარედ არსებულ სოფელ კინჩხის ჩანჩქერს აქვს პერსპექტივა მოკლე დროში გახდეს ამ რაიონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნაობა.

3. იურიდიული სამსახური

დაცული ტერიტორიების საგენტოს დებულების თანახმად იურიდიული სამსახურის ფუნქციებს წარმოადგენს: სააგენტოს სისტემის სამართლებრივი მომსახურება, სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული ნორმატიული აქტების, პროექტების, სხვა დოკუმენტებისა და სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებულ დავებზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება. იურიდილიული სამსახური სააგენტოს წარმოადგენს სასამართლო დავებში.

2013 წელს იურიდიული სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის ჩამონათვალი მოიცავს შემდეგს:

3.1 კანონშემოქმედებითი საქმიანობა

2013 წლის განმავლობაში იურიდიული სამსახური აქტიურად იყო დაკავებული კანონშემოქმედებითი საქმიანობით, რომელიც მოიცავს როგორც ახალი კანოპროექტების, ასევე არსებულ კანონებში ცვლილებების მომზადებას. 2013 წელს საერთო ჯამში იურიდიულმა სამსახურმა მოამზადა 2 ახალი საკანონმდებლო ინიციატივა და 10 ცვლილება უკვე არსებულ კანონმდებლობაში. ყველა ინიციატიავამ წარმატებით გაიარა საპარლამენტო მოსმენები და დამტკიცდა პლენარულ სხდომაზე.

3.2 კანონქვემდებარე აქტების მომზადება

კანონშემოქმედებითი საქმიანობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია კანონქვემდებარე აქტების მომზადება, რომლებიც არეგულირებენ სააგენტოს საქმიანობას. 2013 წელს იურიდიულმა სამსახურმა მოამზადა საქართველოს მთავრობის 12 კანონქვემდებარე აქტის პროექტი და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 7 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი. ანალოგიური კუთხით 2012 წელს მომზადდა ორჯერ ნაკლები - მთავრობის 6 და მინისტრის 3 კანონქვემდებარე აქტი.

3.3 საგრანტო ხელშეკრულებები

2013 წელს იურიდიული სამსახური აქტიურად იყო ჩართული დონორ ორგანიზაციებთან დასადები ხელშეკრულებების პროექტების სამართლებრივ შემოწმებაში, მათი საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით. ამ მიზნით 2013 წელს იურიდიული სამსახურმა განიხილა 6 საგრანტო ხელშეკრულება (5 ხელშეკრულება 2012 წელს) და 3 მემორანდუმი. 2012 წელს დონორებთან არ გაფორმებულა მემორამდუმი.

3.4 სასამართლო წარმომადგენლობა

2013 წელს იურიდიული სამახური სააგენტოს სახელით მონაწილეობდა სასამართლოში ჩატარებულ სამართლებრივ პროცესებში. სულ გასული წლის მონაცემებით იურიდიულმა სამსახურმა მონაწილეობა მიიღო 7 სასამართლო პროცესში, სადაც ერთი პროცესი წააგო, 2

მორიგებით დაასრულა, 3 მოიგო და 1 სასამართლო პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს. 2012 წელს სასამართლოში იურიდიულ სამსახურს მხოლოდ 2 პროცესი ჰქონდა, რომელშიც სააგენტო დაფიქსირდა გამარჯვებულად.

4. ინსპექტირების სამსახური

დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულების მიხედვით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, ინსპექტირების სამსახურის მიერ ხორციელდება სააგენტოს ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ადმინისტრაციების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის კონტროლი. სამსახურს ასევე ევალება მოსამსახურეთა მხრიდან დისციპლინისა და კანონიერების დარღვევის სამსახურებრივი ფაქტების გამოვლენა.

2013 წლის განმავლობაში ინსპექტირების სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმებების შედეგად გამოვლინდა დარღვევები, საიდანაც გამოსაყოფია:

4.1 ხეტყის უკანონო ჭრის ფაქტები

ხეტყის უკანონო ჭრა წარმოადგენს მნიშვნელოვან კანონდარღვევას, რომლის აღსაკვეთად დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელთა მნიშვნელოვანი ძალისხმევა არის მიმართული. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ეს პრობლემა კვლავ აქტუალური რჩება.

2013 წლის განმავლობაში, ინსპექტირების სამსახურმა, სხვადასხვა ტერიტორიულ ადმინისტრაციაში, გამოავლინა ხეტყის დიდი ოდენობით უკანონო ჭრის 5 ფაქტი. ეს დაცული ტერიტორიებია:

ა. კოლხეთის ეროვნული პარკი - გამოვლინდა 870 ძირი ხეტყის უკანონო ჭრის ფაქტი, რომლის მოცულობამ შეადგინა 115 მ3,

ბ. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკი - გამოვლინდა 80 ძირი მოჭრილი ხეტყე, საერთო მოცულობით 43 მ3;

გ. აჯამეთის აღკვეთილი - 246 ძირი ხეტყის უკანონო ჭრის ფაქტი, მოცულობით 619 მ3;

დ. ალგეთის ეროვნული პარკი - 96 ძირი, მოცულობით - 32 მ3.;

ე. თბილისის ეროვნული პარკი - 765 ძირი , მოცულობით - 277 მ3.

საერთო ჯამში გამოვლინდა 2,057 ძირი (1,086 მ3) ხეტყის უკანონო ჭრა, რაც წინა წლის გამოვლენილ მაჩვენებლებთან შედარებით 64%-ით მეტია (მოცულობით გამოსახულებაში 49% -ით მეტი). ყველა ფაქტზე მასალები გადაიგზავნა შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებში. ამასთან ერთად, შედგა შეხვედრები დაცული ტერიტორიების შესაბამისი ადმინისტრაციების როგორც ხელმძღვანლებთან ისე რიგით თანამშრომლებთან და მიეცათ მკაცრი მითითება დაღვევების პრევენციის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, ტერიტორიული ადმინისტრაციების მიერ ვერ ხერხდებოდა აღმოჩენილი ხეტყის უკანონო ჭრის ფაქტებზე დამრღვევი პირების გამოვლენა. ამასთან დაკავშირებით, ინსპექტირების სამსახურის რეკომენდაციით, ადმინისტრაციებს მიეცათ მითითება, ხეტყის უკანონო ჭრის გამოვლენის შემთხვევაში, როდესაც სამართალდამრღვევი პირი უცნობია, დაუყოვნებლივ უზრუნველყონ გამოვლენილ უკანონო ჭრის ფაქტებზე შედგენილი დოკუმენტაციის სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნა შესაბამისი რეაგირების მიზნით. დღევანდელი დღის მდგომარეობით, სააგენტოს ყველა ტერიტორიული ადმინისტრაციის მიერ აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

4.2 გარემოზე მიყენებული ზიანის გაანგარიშება

ჩატარებული შემოწმების შედეგად, ინსპექტირების სამსახურმა აღმოაჩინა მთელი რიგი დარღვევები ხეტყის უკანონო ჭრის ფაქტებზე გარემოზე მიყენებული ზიანის გაანგარიშების მიმართულებით. როგორც შიდა მოკვლევამ აჩვენა, დაცული ტერიტორიების სააგენტოში ოფიციალურად არ შემოსულა საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის N95 ბრძანება „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 2 თებერვლის №2 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

შედეგად, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომლები გარემოზე მიყენებულ ზიანს ანგარიშობდნენ ძველი მეთოდიკის შესაბამისად. ზიანის თანხის შეცდომით გაანგარიშების შედეგად დანაკლისმა შეადგინა 37,631 ლარი.

მოკვლეული დოკუმენტაცია შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას. სულ აღმოჩნდა 25 ასეთი ფაქტი, 9 დაცულ ტერიტორიაზე (თბილისის, ბორჯომ-ხარაგაულის, ალგეთის, კოლხეთის, ლაგოდეხის, მარიამჯვრის, გარდაბნისა და ჭაჭუნას დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებში). პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი ინსტრუქცია დაეგზავნათ ტერიტორიულ ადმინისტრაციებს და ზიანის დაანგარიშების კუთხით 2013 წელს აღარ მომხდარა მსგავსი შეცდომის გამეორება.

4.3 ტერიტორიული ადმინისტრაციების მიერ გამოყოფილი ტყეკაფების შემოწმება

ინსპექტირების სამსახური, ტერიტორიული ადმინისტრაციების შემოწმებების დროს, ყურადღებას ამახვილებდა გამოყოფილი ტყეკაფების დათვალიერებაზე. შედეგად გამოვლინდა გარკვეული დარღვევები.

მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ვიზიტორთა ზონაში გამოყოფილი იყო ტყეკაფი, რაც წარმოადგენდა "მტირალას ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის" რეგულაციის დარღვევას; ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში ჩატარებული შემოწმებით გამოვლინდა ტყეკაფების გაუწმენდაობის ფაქტები. ორივე შემთხვევაში, ადმინისტრაციებს მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით. რეკომენდაციები დაეგზავნათ სხვა ტერიტორიულ ადმინისტრაციებსაც, მსგავსი ფაქტების პრევენციის კუთხით და მიეცათ მკაცრი გაფრთხილებები.

4.4 მოსამსახურეთა დისციპლინური გადაცდომის ფაქტები

2013 წლის განმავლობაში, ინსპექტირების სამსახურის მიერ, სისტემატურად ხორციელდებოდა შემოწმებები თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების გამოვლენის კუთხით. რეიდები ეწყობოდა როგორც გეგმიურად, ისე მოულოდნელად, ღამის და დილის ადრეულ საათებში. გატარებული ღონისძიებების შედეგად, აღმოჩენილი ფაქტების საფუძველზე, 26 თანამშრომლის მიმართ გამოყენებულია სააგენტოს შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინარული პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომა, მათ შორის, ერთ შემთხვევაში მოხდა თანამშრომლის დათხოვნა. ტერიტორიული ადმინისტრაციების ხელმძღვანელები, სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევის ფაქტების პრევენციის მიზნით, მკაცრად იქნენ გაფრთხილებულნი.

5. საერთაშორისო ურთიერთობები

საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახური ზედამხედველობას და კოორდინაციას უწევს დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროექტებს; აწარმოებს ფინანსების მოზიდვას დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროექტების განსახორციელებლად; განსაზღვრავს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებებს. სამსახური ასევე უზრუნველყოფს სააგენტოს თანამშრომლობას საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ამზადებს წინადადებებს პროგრამებზე ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

5.1 WWF/BMZ/დაცული ტერიტორიების სააგენტო/აზერბაიჯანის მთავრობა - ქურციკებისა და ნიამორების რეინტროდუქცია

2013 წელს განხორციელებული ღონისძიებებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ოქტომბრის თვეში აზერბაიჯანიდან 10 ჯეირნის რეინტროდუქცია ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე. განსხვავებით წინა შემთხვევისაგან, როდესაც 2009 წელს მოხდა ჯეირნების შემოყვანა თურქეთიდან, ამ ჯერზე, აზერბაიჯანიდან რეინტროდუქცირებული ქურციკების გაშვება ღია გარემოში მოხდა ჩამოყვანიდან მეორე დღესვე. უნდა ითქვას, რომ მოცემული ეტაპისთვის ქურციკები ადვილად შეეწყვნენ ადგილობრივ გარემო პირობებს.

შემოყვანილი ჯეირნების მონიტორინგი მიმდინარეობს სპეციალური სენსორული საყელოების მეშვეობით. თუ მათი ადაპტაცია ადგილობრივ პირობებთან ასევე წარმატებით გაგრძელდება, ამ შემთხვევაში დაგეგმილია დამატებითი 150 ერთეულის შემოყვანა, რაზეც არსებობს აზერბაიჯანის მხარის წინასწარი თანხმობა.

ყოველივე ზემოაღნიშნული განხორციელდა მსოფლიო ბუნების დაცვის ფონდის (WWF) დახმარებით.

5.2 ევროკავშირი/დაცული ტერიტორიების სააგენტო - თვინინგის პროექტი

ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს ხელი მოეწერა 2013 წლის მაისის თვეში. პროექტი გულისხმობს ოთხი დაცული ტერიტორიისთვის მენეჯმენტის გეგმის შემუშავებას, ამ პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ ჩართვასა და სააგენტოს თანამშრომლების დატრენინგებას აღნიშნულ პროცესში. პროექტის მნიშვნელობა ძალზე დიდია, ვინაიდან თითოეული დაცული ტერიტორიისთვის მენეჯმენტის გეგმის ქონა კანონითაა გათვალისწინებული. დღემდე მენეჯმენტის გეგმების შემუშავება ხდებოდა დაქირავებული უცხოელი ექსპერტების მიერ, რაც მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული. ამ მიზეზით (ფინანსური რესურსების სიმწირის გამო) იყო შემთხვევები, როდესაც მართვის გეგმები არ მზადდებოდა და რეალურად კანონი ირღვეოდა.

პროექტის ფარგლებში ხელმოწერილია ხელშეკრულება. შექმნილია მენეჯმენტის გეგმებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი. 4 საპილოტე დაცული ტერიტორიის შესახებ შეგროვებულია მონაცემები. ბოლო ეტაპზეა მენეჯმენტის გეგმის შემუშავების მეთოდიკაზე მუშაობა. დაინტერესებულ მხარეთა ანალიზისთვის და არსებული სიტუაციის შესასწავლად განხორციელდა ვიზიტები ლაგოდეხისა და იმერეთის დაცულ ტერიტორიებზე. შესაბამისი ექსპერტის მიერ შემუშავდა ტურიზმის კონცეფცია იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიებისათვის.

5.3 CNF/დაცული ტერიტორიების სააგენტო - ხუთი დაცული ტერიტორიისათვის საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება

ამჟამად საქართველოს ხუთ დაცულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს საოპერაციო ხარჯებისა და 35 პროცენტიანი სახელფასო დანამატის გაცემა. ამ პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა CNF-ის დახმარებით. (იხილეთ გვ. 7, თავი 2.4. CNF-ის შესახებ)

2013 წლის განმავლობაში სააგენტო აქტიურად აგრძელებდა თანამშრომლობას კავკასიის ბუნების ფონდთან (CNF). 2013 წელს. ფონდის მიერ განხორციელდა დაცულ ტერიტორიებზე საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება, ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

სულ CNF-ის მიერ, 2013 წლის განმავლობაში, მოხდა 71,400 ლარით მხარდაჭერა. აღნიშნული თანხა ხუთ დაცულ ტერიტორიაზე შემდეგნაირად გადანაწილდა:

- მტირალას ეროვნული პარკი:

  ხელფასზე დანამატი - 32,055
  საოპერაციო ხარჯები - 9,926
  ინფრასტრუქტურული ხარჯები - 46,036

- ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები:

  ხელფასზე დანამატი - 39,086
  საოპერაციო ხარჯები - 21,582
  ინფრასტრუქტურული ხარჯები - 123,618

- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი:

  ხელფასზე დანამატი - 117,725
  საოპერაციო ხარჯები - 14,745
  ინფრასტრუქტურული ხარჯები - 88,730

- თუშეთის დაცული ტერიტორიები:

  ხელფასზე დანამატი - 55,040
  საოპერაციო ხარჯები - 9,084
  ინფრასტრუქტურული ხარჯები - 59,342

- ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები:

  ხელფასზე დანამატი - 56,091
  საოპერაციო ხარჯები - 9,888
  ინფრასტრუქტურული ხარჯები - 68,449.

5.4 ზურმუხტის ქსელის შექმნა საქართველოში - II ფაზა

ზურმუხტის ქსელი წარმოადგენეს ეკოლოგიურ ქსელს, რომელიც შეიქმნა ევროსაბჭოს მიერ ბერნის კონვენციის განხორციელების მიზნით „განსაკუთრებული კონსერვაციული ღირებულებების მქონე ტერიტორიებისათვის“. ბიომრავალფეროვნების დაცვის თვალსაზრისით, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირის „NATURA 2000“ პრინციპების დანერგვა სწორედ ზურმუხტის ქსელის მეშვეობით ხორციელდება. 2013 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევით ცენტრ ნაკრესთან და დაიწყო შესაბამისი აქტივობების განხორციელება. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს სახეობათა მონაცემების შეგროვება და ჰაბიტატების რუკის მომზადება. პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში ზურმუხტის ქსელისთვის

სპეციალური კონსერვაციული ღირებულების მქონე ტერიტორიების იდენტიფიცირება, დაცულ ტერიტორიებზე არსებული უნიკალური ჰაბიტატების დაცვისა და ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობა.

ზურმუხტის ქსელის პოტენციური საიტები ემთხვევა დაცული ტერიტორიების საზღვრებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტის მნიშვნელობა დიდია, რადგან შეგროვებული მონაცემთა ბაზა და მომზადებული რუკები გამოყენებული იქნება დაცული ტერიტორიებისთვის. პროექტის საბოლოო შედეგია სახელმწიფოს მხრიდან მიღებული და შეთანხმებული კანდიდატი საიტების დასამტკიცებლად წარდგენა ევროპის საბჭოში. პროექტი დასრულდება 2016 წელს.

5.5 BMZ/KfW/WWF - ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნა საქართველოში

2013 წელს კვლავ მიმდინარეობდა 2006 წელს ხელმოწერილი პროექტი „ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნა საქართველოში“, რომელიც გულისხმობს ჯავახეთის რეგიონში ეროვნული პარკისა და ხუთი აღკვეთილის შექმნას, ცალკეული სოციალური პროექტების განხორციელებასა და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარებას.

2013 წლის განმავლობაში დამტკიცდა 2013-14 წლების საოპერაციო გეგმა. პროექტის განმახორციელებელი - ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) შეუდგა აქტივობებს დამტკიცებული გეგმის მიხედვით:

- ✓ WWF-ის მიერ მომზადდა ჯავახეთის დაცული ტერიტორიების მართვის გეგმის პროექტი, რომელიც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცდა 2013 წელს. აღნიშნული გეგმის მიხედვით მოხდება ჯავახეთის დაცული ტერიტორიების მართვა მომავალი 6 წლის განმავლობაში;

- ✓ განხორციელდა შესყიდვები მეფუტკრეობისა და ტურიზმის განვითარების პროექტებისათვის. ტენდერებში გაიმარჯვა არასამთავრობო ორგანიზაცია - “ელკანამ”. “ელკანას” ორგანიზებით საცხენოსნო ტურიზმის განვითარების მიზნით დამზადდა 10 უნაგირი, რომელთაგან 6 უკვე გადაცემულია პროექტში ჩართული ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელთათვის; დაიწყო მეფუტკრეთა ასოციაციის შენობის რემონტი, რომელზეც დაიხარჯა 8,486 ლარი და უახლოეს მომავალში იგეგმება ტრენინგები ასოციაციის წევრებისათვის; სულ დაიხარჯა 13,286 ლარი;

- ✓ რეაბილიტაციისათვის შეირჩა სამი საოჯახო სასტუმრო (ორი სოფელ სულდაში, ერთი სამებაში). სარემონტო სამუშაოები განხორციელდა და დასრულდა 2013 წელსვე; სულ

დაიხარჯა 43,000 ლარი;

- ✓ მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია ჯავახეთის 9 სოფლისთვის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციისათვის. მომზადებული პროექტის საფუძველზე გამოცხადდება ტენდერი 2014 წელს. 2013 წელს ამ ტენდერის განხორციელება ვერ მოხერხდა ზამთარში სამუშაოების ჩატარების შეუძლებლობის გამო; სულ ამ პროექტზე მომავალ წელს დაგეგმილია 920,000 ლარის დახარჯვა;

- ✓ WWF-მა დაიქირავა ტურიზმის კონსულტანტი ბუნებრივი ბილიკებისა და ტურისტული რუკის შესამუშავებლად; 2013 წლის განმავლობაში დაიწყო ამ პროექტზე მუშაობა, რომელიც დასრულდება 2014 წელს; ამ დოკუმენტის მომზადება მნიშნველოვანია სააგენტოსთვის, ვინაიდან რუკა მომზადდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც დაცულ ტერიტორიებზე მისულ ვიზიტორებს გაუადვილებს გადაადგილებას, მიაწვდის ინფორმაციას ცალკეული ტურისტული მომსახურებებისა და მარშრუტების შესახებ;

- ✓ წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ბიუჯეტი ჯავახეთის დაცული ტერიტორიებისთვის და გამოყო საშტატო ერთეულები. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის დამტკიცება ჯავახეთის დაცული ტერიტორიების საშტატო ერთეულებისთვის დღის წესრიგში უკვე 2011 წლიდან დგას და აქამდე ამის განხორციელება ვერ ხერხდებოდა;

- ✓ ვინაიდან დონორის მხრიდან მოხდა მანამდე შემუშავებული ვიზიტორთა და ადმინისტრაციული ცენტრის პროექტის დაწუნება, WWF-მა დაიქირავა გერმანელი ექსპერტი, რომელმაც შეისწავლა პროექტი და მისი დასკვნის საფუძველზე გადაწყდა პროექტის შეცვლა KfW-ს სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული შენობისთვის, რომლის ღირებულება იქნება 300,000 ევრომდე, სამუშაოები დაიწყება 2014 წელს.

5.6 USAID - ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა საქართველოს წყალშემკრებ აუზში

USAID-ის 4-წლიანი პროგრამა „ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა საქართველოს წყალშემკრებ აუზში“ დაიწყო 2011 წელს. პროგრამის მიზანია ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის გზით, ქვეყნის მოსახლეობის ყოფის გაუმჯობესება. ქმედებათა ნაწილი განხორციელდა დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში. 2013 წლის განმავლობაში:

- ✓ ჩატარდა ორი საველე ექსპედიცია კოლხეთისა და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე (6,682 ლარი); ექსპედიციის ორივე პროგრამა მომზადდა დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან თანამშრომლობით. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის პროგრამა მოიცავდა ლექციასა და პრაქტიკულ მეცადინეობას, ეკოსისტემებზე დაკვირვებას ტელემეტრული მეთოდებით, ფოტოხაფანგისა და რადიო-გადამცემის გამოყენებით. ვაშლოვანის ექსპედიციაში მონაწილეობის შედეგად პრაქტიკული გამოცდილება მიიღო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 5 ეკოკლუბის 15-მა მოსწავლემ.
  რაც შეეხება კოლხეთის ეროვნულ პარკში ჩატარებულ ექსპედიციას, რომელიც მოეწყო ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, გაიმართა პალიასტომის ტბაზე და მოიცავდა გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვებას და დარგოლვის საველე ექსპედიციას. ეს პირველი შემთხვევაა საქართველოში, როცა საჯარო სკოლის ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვებაში. ღონისძიების შედეგად ხობის და სენაკის 8 საჯარო სკოლის 24-მა მოსწავლემ მიიღო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება მოცემულ საკითხებში.

- ✓ ქვემო და ზემო ალვანში განხორციელდა საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია (51,542 დოლარი);

- ✓ მოეწყო ეკობანაკი ყაზბეგისა და თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე (ყაზბეგში - 26 კაცი - 10,000 დოლარი, თუშეთში - 24 კაცი - 8,000 დოლარი);

- ✓ პროექტის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში გადაწყდა თუშეთში ქუეს გადასახედის მოწყობა (სავარაუდო დაფინანსება - 41,000 დოლარი), რომელიც 2014 წელს განხორციელდა.

5.7 USDOI - ტრენინგები დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელთათვის

2013 წლის 13 ივნისს ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს დაცული ტერიტორიების სააგენტოს, კავკასიის ბუნების ფონდსა (CNF) (იხილეთ გვ. 7, თავი 2.4. CNF-ის შესახებ) და შეერთებული შტატების შინაგანი დეპარტამენტის საერთაშორისო ტექნიკური დახმარების პროგრამას (US DOI ITAP) შორის. აღნიშნულის ფარგლებში, მიმდინარე წლის განმავლობაში, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლებს, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ორ ეტაპად ჩაუტარდათ ტრენინგები თემაზე „დაცული ტერიტორიების ეფექტური მართვა“. სულ კვალიფიკაციის ამაღლება გაიარა სააგენტოს 13-მა თანამშრომელმა და ტრენინგი ჩატარდა ისეთ თემებზე, როგორიცაა: დაცულ ტერიტორიებზე რესურსების მართვა, ვიზიტორთა მომსახურება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და განათლება, ინსტიტუციური განმტკიცება, მდგრადი ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვ. პროექტი გაგრძელდება 2014 წელსაც.

5.8 CzDA - თუშეთის უზრუნველყოფა განახლებადი ენერგიით

ჩეხეთის განვითარების სააგენტოსა და საელჩოს მხარდაჭერით, 2010 წლიდან მიმდინარეობდა თუშეთის განახლებადი ენერგიით უზრუნველყოფა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2013 წლის განმავლობაში, ჩეხური მხარის მიერ ორჯერ განხორციელდა დამონტაჟებული მზის პანელების მონიტორინგი. გარდა ამისა, დაიგეგმა თუშეთის ადგილობრივი მოსახლეობისა და მეცხვარეებისათვის 25 დამატებითი PV (ფოტო-ვოლტაჟ) სისტემების გადაცემა. გადაცემა მოხდება 2014 წელს.

5.9 GEF/UNDP - აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა

2013 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა GEF/UNDP-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“ დოკუმენტზე მუშაობა. პროექტის მიზანია საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დაცული ტერიტორიების მართვის დახვეწა, ბიოგეოგრაფიული საზღვრების გაფართოება და ურთიერკავშირის განმტკიცება უნიკალური კოლხური ტყეების (ზომიერად ნოტიო ტყეების) უკეთ დასაცავად.

დონორმა (GEF) მოიწონა და დაამტკიცა პროექტი. პროექტის დოკუმენტი, შემდგომში მთავრობისთვის გადასაცემად, გადმოეგზავნა დაცული ტერიტორიების სააგენტოს. ასევე, 2013 წელს, პროექტის პარტნიორებმა თანხმობა განაცხადეს თანადაფინანსებაზე, რაც მათ მიერ წერილობით იქნა გამყარებული. სულ პროექტის განხორციელებისათვის GEF/UNDP-ის მიერ გამოყოფილია 1,323,636 დოლარი.

5.10 საპროექტო განაცხადები

UNDP/GEF-ის მიერ გამოცხადებული მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში გაკეთდა განაცხადი შემდეგ პროექტებზე:

- ✓ ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარადგინა პროექტი - ეკოტურიზმის განვითარება ნინიგორის თემში. პროექტმა წარმატებით გადალახა ორივე ეტაპი.
- ✓ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციამ წარადგინა პროექტი - კოლხური ხოხბის პოპულაციების აღდგენა, რომელმაც ასევე წარმატებით გაიარა ორივე ტური.

5.11 CzDA/ISCA - იმერეთის მღვიმეების მართვის გაუმჯობესება

2012 წელს დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა მღვიმეების მართვის გაუმჯობესებას, მათი მიკროკლიმატის, ტენიანობის, ტემპერატურისა და სხვა საჭირო კომპონენტების განსაზღვრას. პროექტის ფარგლებში, 2013 წლის განმავლობაში განხორციელდა ჩეხი ექსპერტების ორი ვიზიტი იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ თანამშრომლობის გაგრძელების ერთ-ერთ რეალურ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს მღვიმეებში სპელეოთერაპიის განვითარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩეხი ექსპერტების მიერ საწურბლიას მღვიმეში მოხდა რადონის დონის განმსაზღვრელი აღჭურვილობის დამონტაჟება, რომლის შედეგების საფუძველზე ნათელი გახდება, შესაბამისია თუ არა მღვიმის პირობები სპელეოთერაპიის განვითარებისათვის. კვლევის პასუხები ცნობილი გახდება 2014 წელს.

5.12 EU/ClimaEast/UNDP - ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე საძოვრების მდგრადი მართვის ხელშეწყობა

2013 წლის მაისის თვეში ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე დაიწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის განხორციელება, რომელიც გულისხმობს საძოვრების მენეჯმენტის გეგმის შემუშავებას.

პროექტის დაწყებიდან მცირე დროში დაკომპლექტდა პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი, ჩამოყალიბდა აღმასრულებელი საბჭო, ადგილზე არსებული სიტუაციის პირველადი კვლევისთვის შეირჩა სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი - NACRES. ასევე, მომზადდა ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე მცენარეთა ძირითადი თანასაზოგადოებების რუკა, რომელიც საკმაოდ დეტალურია და მასზე დატანილია მცენარეთა ძირითადი თანასაზოგადოებების 25 კლასი. რუკა შეიქმნა GIS ტექნოლოგიების გამოყენებით და ველზე მონაცემთა გადამოწმებით. საქართველოს მასშტაბით ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მსგავსი ტექნოლოგიების გამოყენებით მომზადდა ვეგეტაციის რუკა. გარდა ამისა, აღნიშნული რუკის

მნიშნველობა დიდია, რადგან მისი გამოყენება მოხდება საძოვრების მართვის გეგმის შემუშავების პროცესში.

5.13 მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციასა/დაცული ტერიტორიების სააგენტო - ერთობლივი თანამშრომლობა

2013 წლის ივნისის თვეში მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციასა (UNWTO) და საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას. პროექტი მიზნად ისახავს ლაგოდეხის, თბილისის ვაშლოვანის, მტირალას და კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე ახალი ტურისტული პროდუქტების დანერგვას.

ხუთივე დაცულ ტერიტორიაზე განხორციელდა UNWTO-ს შესაბამისი ექსპერტების ვიზიტი, რომლებმაც იმუშავეს ველზე, დადეს განსახორციელებელი პროდუქტების ვარიანტები. შეირჩა კონკრეტული განსახორციელებელი ქმედებები და დაიწყო მათზე მუშაობა. 2013 წლის მდგომარეობით მომზადდა ტურისტული რუკები თბილისის, ლაგოდეხის და მტირალას დაცული ტერიტორიებისთვის, რომელთა დაბეჭდვა დაგეგმილია 2014 წელს.

5.14 ახალი დონორი - თიბისი ფონდი

2013 წლის ივნისში ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს თიბისი ფონდს (TBC Fund), კავკასიის ბუნების ფონდსა (CNF) და დაცული ტერიტორიების სააგენტოს შორის. მემორანდუმის ფარგლებში მოხდება ხევსურეთიდან თუშეთში გადასასვლელი ტურისტულ/საცხენოსნო ბილიკის რეაბილიტაცია, ასევე განხორციელდება რამდენიმე მცირე ზომის ინფრასტრუქტურული პროექტი. პროექტის ფარგლებში მომზადდა სამშენებლო პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. ფიზიკურად სამუშაოები დაიწყება 2014 წელს.

5.15 ახალი დონორი - ქართუ ფონდი

2013 წლის აგვისტოში საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ ,,ქართუ“-ს, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და კავკასიის ბუნების ფონდს (CNF) შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე შვიდი თავშესაფრის რეკონსტრუქციისა და გადასახედის მოწყობის თაობაზე. გაიმართა შეხვედრა ფონდის

ხელმძღვანელობასთან პროექტის განხორციელების ტექნიკური საკითხების დაზუსტების მიზნით დასრულდა შვიდივე თავშესაფრის რემონტი და მოეწყო გადასახედი. სულ ახალმა დონორმა დაცული ტერიტორიების სააგენტოს სასარგებლოდ 176,000 ლარი დახარჯა. აღსანიშნავია, რომ ეს პროექტი ფონდ ,,ქართუ"-სთან თანამშრომლობის პირველი შემთხვევაა და ამ ორგანიზაციასთან სამომავლო თანამშრომლობას უკიდურესი მნიშვნელობა ენიჭება.

5.16 ჯანმრთელობის დაზღვევა

2013 წლის 29 აპრილს, კავკასიის ბუნების ფონდსა (CNF) და დაცული ტერიტორიების სააგენტოს შორის ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას, რომელიც გულისხმობს სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევას. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება ძალზე მნიშვნელოვანია დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლებისათვის, ვინაიდან ადრე ნებისმიერი სახის დაზიანებაზე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე მათ თვითონ უწევდათ თანხის გადახდა. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კი დაზღვევის თანხის ანაზღაურება ხორციელდება კავკასიის ბუნების ფონდის მიერ. სულ ამ პროექტზე კავკასიის ბუნების ფონდის მიერ გაღებული იქნა 67,850 ევრო.

5.17 TJS/დაცული ტერიტორიების სააგენტო - ერთობლივი თანამშრომლობა

2013 წელს გადაწყდა, რომ ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნო დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაეხმარება ახალი ვებ-გვერდის შექმნაში. ახალი ვებ-გვერდის შექმნა წარმოადგენს აქტუალურ თემას, გამომდინარე იქიდან, რომ უკანასკნელად სააგენტოს ვებ-გვერდი მომზადდა 2007 წელს დღესდღეობით მოძველებულ „ფლეშ" პროგრამაში. ახალი ვებ-გვერდი, რომელზეც მუშაობა დაიწყო 2013 წელს და უნდა დასრულდეს 2014 წლის პირველ ნახევარში, იქნება ინტერაქტიული, დაჯავშნის ფუნქციითა და ასევე ინტეგრირებული სააგენტოს „ფეისბუქ" გვერდთან. 2013 წლის ოქტომბრის თვეში შეირჩა კომპანია ITDC, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ახალი ვებგვერდის მომზადება.



5.18 ენერგოტრანსი/ბორჯომ ხარაგაულის ეროვნული პარკის - საკომპენსაციო ღონისძიებები

„შავი ზღვის რეგიონული ელექტროგადაცემის პროექტი“ დაიწყო 2008 წელს და ითვალისწინებდა 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის რეაბილიტაცია-მშენებლობას. ვინაიდან აღნიშნულმა ხაზმა გადაკვეთა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის გარკვეული ტერიტორია, მშენებელ კომპანიას დაეკისრა საკომპენსაციო ღონისძიების გატარება, რომელიც 1 მილიონი ევროს ოდენობით დაფინანსდა ევროკავშირის სამეზობლო ფონდის მიერ. 2013 წელს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია „ენერგოტრანსთან“ და KfW-თან ერთად შემუშავდა ტექნიკური დავალება კონსულტანტის დასაქირავებლად, რომელმაც უნდა შეიმუშავოს და განახორციელოს შემარბილებელი და საკომპენსაციო ქმედებები. შემუშავდა ტექნიკური დავალება. გამოცხადდა ფასთა კვოტირება 2 ერთეული პიკაპის ტიპის ავტომანქანის და მობილური სახანძრო მოწყობილობის შესაძენად. მიმდინარეობდა მუშაობა რეინჯერთა ტექნიკურ დავალებაზე თავშესაფრის შესაძენად. ყველა ეს პროექტი 2014 წელს დასრულდება.

5.19 ფიჭვების ხმობის პრობლემა თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერის ფარგლებში განხორციელდა ავსტრიელი ექსპერტის ვიზიტი, რომელმაც შეიმუშავა რეკომენდაციები ფიჭვების ხმობასთან დაკავშირებით.

მიმდინარეობს ჩეხებთან თანამშრომლობა და მოლაპარაკებები საჭირო დაფინანსების მოსაპოვებლად. სააგენტოს თანამშრომელთა ჩეხეთში ვიზიტის დროს, ჩატარდა შეხვედრა ადგილობრივ ექსპერტებთან, რომლებიც 2014 წლის გაზაფხულზე, ადგილზე მდგომარეობის შესწავლის და რეკომენდაციების გაცემის მიზნით, საქართველოს ეწვევიან.

5.20 KfW/დაცული ტერიტორიების სააგენტო - ეკორეგიონის კონსერვაციის პროგრამა სამხრეთ კავკასია

2013 წლის აპრილის თვეში, ხელი მოეწერა განსაკუთრებულ შეთანხმებას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და გერმანიის რეკონსტუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკს (KfW) შორის. 8.3 მილიონი ევროს ოდენობის გრანტი მომდევნო 5 წლის განმავლობაში დაიხარჯება. ხელშეკრულების მიხედვით, გათვალისწინებულია კინტრიშის, ალგეთისა და ყაზბეგის დაცულ ტერიტორიებზე როგორც ინფრასტრუქტურის მოწყობა, ასევე დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების გაძლიერება. პროექტი ითვალისწინებს ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიის შექმნას.

პროექტის განხორციელების მიზნით წინასწარ შეირჩა ოთხი სავარაუდო კონსულტანტი. მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში წინასწარ შერჩეული კონსულტანტებისთვის, სააგენტოს ორგანიზებით, განხორციელდა ერთობლივი საინფორმაციო ვიზიტები ოთხ სამიზნე დაცულ ტერიტორიაზე. მოგვიანებით, ტენდერის საშუალებით შეირჩა ერთ-ერთი, რომელთანაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით.

მას შემდეგ, რაც კონსულტანთან გაფორმდება ხელშეკრულება, რაც სავარაუდოდ 2014 წელს მოხდება, დაიწყება საგრანტო პროგრამის რეალური განხორციელება.

Ministry of Environment
and Natural Resources

6. მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ორგანიზებას უწევს სააგენტოში და სააგენტოს ტერიტორიულ ადმინისტრაციებში მიმდინარე პროცესებისა და საქმიანობების (პროდუქტების) შესახებ საზოგადოების ინფორმირებას (მასობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით) და პოპულარიზაციას („Public Relations”). ახორციელებს სააგენტოს დებულებით გათვალისწინებულ ყველა სხვა უფლება-მოვალეობებს.

6.1. სააგენტოს განახლებული ვებგვერდი

2013 წლის მეორე ნახევრიდან მიმდინარეობს სააგენტოს ვებგვერდის განახლება, რომელიც 2014 წლის პირველ ნახევარში დასრულდება. ახალი ვებგვერდი შეიცავს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებულ სრულ მონაცემებს და ასევე, მაქსიმალურად ორიენტირებულია მომხმარებელზე. არსებობს ეკოტურისტული სერვისების სრული ნუსხა და დაცულ ტერიტორიებზე მოგზაურობასთან აუცილებელი ყველა მონაცემი.

6.2. საერთაშორისო გამოფენები

საქართველოს დაცული ტერიტორიების ცნობადობის ამაღლების მიზნით სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა საქართველოს დაცული ტერიტორიები წარადგინა შემდეგ საერთაშორისო გამოფენებზე: FITURFF2013 ესპანეთი, ქ. მადრიდი, Holiday World 2013 ქ. პრაღა, ჩეხეთი, ITB 2013 ბერლინი, გერმანია, და WTM 2013 ქ. ლონდონი, დიდი ბრიტანეთი.

გამოფენების მსვლელობისას განხორციელდა შეხვედრები საქართველოს დაცული ტერიტორიებით დაინტერესებულ სხვადასხვა პირებთან, პოტენციურ დონორ ორგანიზაციებთან. მოხდა სარეკლამო-ბეჭდური პროდუქციის გავრცელება საერთაშორისო აუდიტორიაში.

6.3. სარეკლამო ინფორმაცია კატალოგებში

დაცული ტერიტორიებისა და ეროვნულ პარკებში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ასევე, მნიშვნელოვანი ბიომრავალფეროვნების პოპულარიზაციის მიზნით, სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნდა სტატიები, ახალი ტურისტული პროდუქტის პოპულარიზაციისკენ მიმართული სარეკლამო ჩანართები



და სხვა (National Geographic 2013, Georgian Times, The Georgian, Holiday Inn, ფოკუსი, ცხელი შოკოლადი, მსოფლიო 2013).

6.4. სარეკლამო ბანერები გარე მონიტორებზე

თბილისში, ვარაზისხევის აღმართსა და საგარეჯოში მთავარ სამანქანო მაგისტრალზე დამონტაჟდა დაცული ტერიტორიების სარეკლამო ბანერები. ვარაზისხევის აღმართში განთავსებულ კონსტრუქციაზე ყოველ თვე ხორციელდებოდა სხვადსხვა დაცული ტერიტორიის ამსახველი ბანერების ფოტოების განთავსება. ხოლო საგარეჯოში დამონტაჟებულ კონსტრუქციაზე განთავსებულია ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების 101 წლის საიუბილეო ბანერი.

6.5. ტურები ფოტო მოყვარულთათვის

დაცული ტერიტორიების ფოტო არქივის გამდიდრების მიზნით სააგენტომ დაიქირავა პროფესიონალი ფოტოგრაფი, რომელმაც განახორციელა ფოტო გადაღებები საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე სხვადასხვა სეზონზე. ასევე, ჩატარდა ფოტომოყვარულთა ტური ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე. მოპოვებული ფოტო მასალა გადაეცა სააგენტოს სამომავლო გამოყენებისათვის.

6.6. სარეკლამო ინტერნეტ ბანერები

საინფორმაციო საიტზე (ipn.ge) და სოციალურ ქსელში (Facebook) დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის მიზნით განთავსდა სარეკლამო ინტერნეტ ბანერები.

6.7. დამზადდა პრომეთეს მღვიმის სარეკლამო რგოლი

3 D ტექნოლოგიის გამოყენებით განხორციელდა სათაფლიის სარეკლამო კლიპის დამზადება. აღნიშნული კლიპი ტრიალებდა საქართველოს კინოთეატრებში 1 თვის მანძილზე, ყველა

კინოსეანსის დაწყების წინ და მაყურებელს მოუწოდებდა მოენახულებინათ სათაფლიის აღკვეთილი - მღვიმე და დინოზავრის ნაკვალევის საკონსერვაციო ტერიტორია.

6.8. გაცნობითი საინფორმაციო და პრესტურები

საქართველოში არსებული ტუროპერატორი კომპანიებისათვის, ასევე ტელე და პრესის ჟურნალისტებისათვის, განხორციელდა საინფორმაციო-გასაცნობი და პრესტურები ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებსა და იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე. აღნიშნული ღონისძიებების მიზანს წარმოადგენდა ტურისტულ პროგრამებში დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული პროდუქციის დამატება და მათ მიერ არსებულ პროდუქტებზე ტურისტებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

6.9. ველოტურები დაცულ ტერიტორიებზე

საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებისა და ეროვნული პარკების პოპულარიზაციის მიზნით მოყვარული ველოსიპედისტებისათვის ჩატარდა ველოტურები. ლაგოდეხში (აგვისტო), თუშეთში (სექტემბერი) და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე (ნოემბერი). აღნიშნული ტურები გაშუქდა მედიაში.

6.10. საერთაშორისო ფოტოგამოფენა

გაეროს ჟენევის ოფისში ჩატარდა დაცული ტერიტორიების ამსახველი ფოტოგამოფენა. გამოფენას დაესწრნენ გაეროს ჟენევის ოფისის თანამშრომლები, საქართველოს საელჩოს წარომადგენლები და სხვა საქართველოს დაცული ტერიტორიებით დაინტერესებული

პირები/ორგანიზაციები. გამოფენა გახსნა დაცული ტერიტორიების თავმჯდომარემ რატი ჯაფარიძემ. გამოფენა ემსახურებოდა საქართველოს დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციას საზღვარგარეთ. მასში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქვეყნის ელჩებმა, ასევე ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა.

6.11. საინფორმაციო-შემეცნებითი გადაცემები

გაკეთდა 40 წუთიანი ტელეგადაცემა თუშეთის დაცული ტერიტორიების ცნობადობის ამაღლებისა და თუშეთის პოპულარიზაციის მიზნით. ეს გადაცემა გავიდა რუსთავი 2-ის ეთერით (გადაცემაში „მოგზაურობა გიო გაბუნიასთან ერთად“). თავად გადაცემაში მოთხრობილი იყო თუშეთის მთავარ ღირშესანიშნაობებზე და იმ ტურისტულ პოტენციალზე, რასაც რეგიონი ვიზიტორებს სთავაზობს.

6.12. ინტერაქტიული რუკა

შეიქმნა დაცული ტერიტორიების ინტერაქტიული რუკა, რომელზედაც დატანილია ყველა დაცული ტერიტორია და სხვა ტურისტული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტები: საოჯახო სასტუმროები, სასტუმროები, კვების ობიექტები, ტურისტული ბილიკები და სხვა. აღნიშნული ტურისტული რუკა ემსახურება დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა უფრო კომფორტულ გადაადგილებას ეროვნულ პარკებში და სერვისების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას.

6.13 ინფორმაციის გავრცელება

გავრცელებულ იქნა პრესრელიზები სააგენტოს სოციალური ქსელის ოფიციალური გვერდის, ვებგვერდისა და საინფორმაციო ინტერნეტ პორტალების საშულებით. ასევე გაშუქდა ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა ტელევიზიების მეშვეობით.

7. დაგეგმვისა და განვითარების სამსახური

დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმვისა და განვითარების სამსახური წარმართავს და მონაწილეობს დაცული ტერიტორიების სისტემის დაგეგმვაში. სამსახურის ფუნქციებში შედის ბუნებრივი რესურსების მართვა და ბუნებათსარგებლობის განხორციელება. ასევე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომპეტენციის ფარგლებში, ხდება სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების საქმიანობის ამსახველი მონაცემების განხილვა, მათი შეფასება და გადაწყვეტილების მისაღებად შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება.

7.1. ეკოტურიზმი

დაცული ტერიტორიების სააგენტოს მთავარ პრიორიტეტს ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნება წარმოადგენს, თუმცა, ამავდროულად მნიშვნელოვანია ეკოტურიზმის განვითარება, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა ეკოტურისტულ საქმიანობაში და მათთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს შექმნა. სწორედ ამიტომ, ტურისტული სეზონისათვის მზადყოფნა და ვიზიტორთა სრულყოფილი მომსახურებით უზრუნველყოფა სააგენტოს საქმიანობის მეტად ყურადსაღები მიმართულებაა. ამ მხრივ 2013 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

7.1.1. საინფორმაციო ვებგვერდის განახლება

განახლდა ინფორმაცია სააგენტოს ძველ ვებ გვერდზე. გააქტიურდა ასევე ონლაინ დაჯავშნის ფუნქცია შეტყობინებების ელექტრონულ ფოსტაზე მიღების რეჟიმში. წლის ბოლოს კი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა ახალი ვებგვერდის კონცეფცია, სტრუქტურა და დიზაინი, რომლის გაშვებაც მოხდება 2014 წლის პირველ ნახევარში.

7.1.2 “Safari Tours” ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე

2013 წელს სააგენტომ დაიწყო „Safari Tours”-ის მომსახურების გაწევა. სერვისი მოიცავს Toyota-ს მარკის Safari-ის ტიპის ავტომობილით სპეციალური სამანქანე ტურების ჩატარებას. დამტკიცდა შესაბამისი ტარიფები და ინფორმაცია მიეწოდა შემომყვან ტუროპერატორებს.

განსხვავებული ლანდშაფტისა და კლიმატური პირობების მიუხედავად, აღნიშნული პროდუქტის განვითარებამ, საშუალება მოგვცა გაგვეხანგრძლივებინა ტურისტული სეზონი ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე. მომსახურებას სააგენტო ასევე სთავაზობს ვიზიტორებს ზაფხულის ცხელ თვეებშიც, რადგან ამ პროდუქტის საშუალებით სამანქანე ტურის განხორციელება შესაბამისი ინსტრუქტაჟის საფუძველზე არ შეიცავს საფრთხეებს ვიზიტორთათვის. მოცემული სერვისის დანერგვამ დადებითი გავლენა მოახდინა ვიზიტორთა რაოდენობისა და შემოსავლების ზრდაზე.

7.1.3 თოვლის ფეხსაცმელები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს დაემატა ზამთრის აქტივობა - „თოვლის ფეხსაცმელებით გადაადგილება“. ამ ეტაპზე, შეძენილია ყველა საჭირო ინვენტარი და მიმდინარეობს კონკრეტული სეზონური შეთავაზების მომზადება ვიზიტორთათვის.

აღნიშნული პროდუქტი მნიშვნელოვანია არა მარტო ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციისათვის, არამედ მთლიანად დაცული ტერიტორიების სისტემისათვის. ინოვაცია წარმოადგენს ზამთრის სეზონის პირველ სრულყოფილ შეთავაზებას. ვიზიტორებს ამ სერვისით სარგებლობა 2014 წლის იანვრის თვიდან შეეძლებათ.

7.1.4 შეხვედრები ტურიზმის მიმართულების სტუდენტებთან

2013 წლის განმავლობაში აკადემიურ დაწასებულებებში მოეწყო შეხვედრები ტურიზმის მიმართულების სტუდენტებთან დაცული ტერიტორიების შესახებ. აღნიშნული შეხვედრები ჩატარდა ოთხ: გრიგოლ რობაქიძის, კავკასიის საერთაშორისო, აგრარულ და გორგასლის უნივერსიტეტებში. აღნიშნულ შეხვედრებში, რომლებიც გაიმართა პრეზენტაციისა და კითხვა-პასუხის რეჟიმში, მონაწილეობა მიიღო 100-მდე სტუდენტმა.

7.1.5 ადგილობრივი გამოფენები

დაცული ტერიტორიების სააგენტო წარდგა ადგილობრივ, თბილისისა (12 – 14 აპრილი 2013 წ.) და ბათუმის (10 – 12 მაისი 2013 წ.) ტურიზმის საერთაშორისო გამოფენებზე.

საერთაშორისო და ადგილობრივ გამოფენებზე, ვიზიტორთა დაინტერესებისა და მოზიდვის მიზნით, დაცული ტერიტორიების სააგენტომ წარადგინა საქართველოს ბუნებრივი მემკვიდრეობა - დაცული ტერიტორიები და არსებული ტურისტული სერვისები. დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია და ცნობადობის ზრდა კი განაპირობებს წლიდან წლამდე ვიზიტორთა რაოდენობის ზრდას, რაც ნათლად ჩანს არსებულ სტატისტიკურ მონაცემებში.

7.1.6 სტატისტიკა

დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა ნაკადის ზრდა შემოსავლების ზრდის პირდაპირპროპორციულია არა მარტო დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისათვის, არამედ ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ვინაიდან ისინი ჩართულნი არიან სხვადასხვა ტურისტული სერვისის მიწოდების პროცესში. ვიზიტორთა ზუსტი აღრიცხვის, მათი ნაკადის მართვისა და დეტალური სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მიზნით სააგენტო მთელი წლის განმავლობაში ახორციელებს ვიზიტორთა რაოდენობასა და შემოსავლების აღრიცხვას, რომელიც ხორციელდება excel-ის ფორმატში სპეციალურად შემუშავებული ფორმის საშუალებით. ცხრილებში ტერიტორიულ ადმინისტრაციებს შეჰყავთ მონაცემები კვირის განმავლობაში აღრიცხული ვიზიტორების რაოდენობის, მოქალაქეობისა და გაწეული ფასიანი მომსახურებების შესახებ. აღნიშნული ფორმა კი ყოველი კვირის ორშაბათს იგზავნება დაცული ტერიტორიების სააგენტოში, სადაც ერთიანდება წარმოდგენილი ინფორმაცია და ფორმირდება ზოგადად დაცულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები.

7.1.7 ვიზიტორთა რაოდენობა

2013 წლის განმავლობაში საქართველოს დაცულ ტერიტორიებს 350,642 ვიზიტორი ესტუმრა, რაც წინა, 2012 წლის მონაცემებთან შედარებით დაახლოებით 17%-ით არის გაზრდილი. აქედან საქართველოს მოქალაქეა 255,594 ვიზიტორი, ხოლო უცხო ქვეყნის ვიზიტორთა რაოდენობა კი - 101,078. გასულ წელთან შედარებით გაზრდილია როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა რაოდენობა.

ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის პარალელურად გაზრდილია შემოსავლების რაოდენობაც. 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, შემოსავლების 27%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

დიაგრამა 1. ვიზიტორთა რაოდენობა დაცულ ტერიტორიებზე 2013 წ.



დიაგრამა 2. შემოსავლების რაოდენობა დაცულ ტერიტორიებზე 2013 წ.



7.1.8 უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა სტატისტიკა

გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა რაოდენობა და 2012 წელთან შედარებით ზრდამ 32% შეადგინა (101,078). მოცემული ტენდენცია ჩვენი ქვეყნის დაცული ტერიტორიების საერთაშორისო დონეზე ცნობადობის ზრდაზე მიუთითებს.

უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა პირველი ხუთეული გადანაწილდა შემდეგნაირად: უკრაინა, ისრაელი, აზერბაიჯანი, რუსეთი და გერმანია. უკრაინის მოქალაქე ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ავიაკომპანია Wizz Air-ის შემოსვლამ საქართველოში, რომელიც ახორციელებს პირდაპირ რეისებს ქ. ქუთაისიდან უკრაინის მიმართულებით.



აღსანიშნავია, რომ გასულ 2012 წელს იგივე პირველი ხუთეულის შემადგენლობაში შედიოდა ჩეხეთი, რომელიც 2013 წელს ჩაანაცვლა რუსეთმა, რაც განპირობებული იყო საქართველოსა და რუსეთს შორის სავიზო რეჟიმისა და საავიაციო მიმოსვლის გამარტივებით.

დიაგრამა 5. უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა რაოდენობა დაცულ ტერიტორიებზე 2013წ.

7.1.9 გეგმის გარეშე განხორციელებული აქტივობები

გარდა გეგმით გათვალისწინებული კონკრეტული ქმედებებისა, დაცული ტერიტორიების სააგენტო ჩართული იყო მიმდინარე სხვადასხვა პროექტში, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა რამდენიმე საველე გასვლა.

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) პროექტის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს საქართველოს 5 დაცულ ტერიტორიაზე 9 ახალი ტურისტული პროდუქტის შემუშავებას, განხორციელდა ორი საველე გასვლა მოწვეულ ექსპერტებთან ერთად.

საველე სამუშაოების დროს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ✓ 2013 წლის 28 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე, ვაშლოვანისა და მტირალას ეროვნულ პარკებში ექსპერტებთან ერთად მოხდა ტერიტორიების ადგილზე შესწავლა, დაიგეგმა პოტენციურად განხორციელებადი პროდუქტები და შემუშავდა მომავალში განსახორციელებელი ქმედებები. იმავე წლის 25 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით კი საველე გასვლა განხორციელდა კოლხეთის ეროვნულ პარკში, რომლის დროსაც ექსპერტი ასევე გაეცნო ეროვნულ პარკს და შეისწავლა არსებული მდგომარეობა შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით.

ამავე პროექტის ფარგლებში 2013 წელს მტირალას ეროვნულ პარკში დასრულდა მუშაობა ახალი პროდუქტების - ზიპლაინისა და კანიონინგის შემუშავებაზე. ნაწილი სამუშაოებისა შესრულდა ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე (ორი საინტერპრეტაციო გეოლოგიური ბილიკი), ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე (ორი საინტერპრეტაციო და ერთი ბუნების შემეცნებითი ბილიკი სკოლის მოსწავლეებისათვის), კოლხეთის ეროვნულ პარკსა (მდ. ფიჩორზე კანოებით გადაადგილება) და თბლისის ეროვნულ პარკში (ველო ბილიკების განვითარება). ამჯერად მიმდინარეობს მუშაობა პროდუქტის რუკებზე, საინფორმაციო და საინსტალაციო მასალებზე.

7.2 ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია

ეკოლოგიური განათლება წარმოადგენს მულტიდისციპლინარულ სწავლებას, რომელიც აყალიბებს გარემოსდაცვით შეგნებას, ღირებულებებს და უნარ-ჩვევებს, რისი საშუალებითაც ადამიანი და მთლიანად საზოგადოება მონაწილეობს გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესების საქმეში. მომავალი თაობების მომზადება და აღჭურვა შესაბამისი გარემოსდაცვითი ცოდნით, უნარ-ჩვევებით და მდგრადი გარემოსდაცვითი დამოკიდებულებებით გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. ეკოლოგიური განათლება ეხმარება ქვეყნის მოსახლეობას გარემოსდაცვითი და მასთან უშუალოდ დაკავშირებული მდგრადი განვითარების პრობლემების გამოვლენაში, ამ პრობლემების შესწავლაში და მათი გადაჭრის აუცილებელი გზების მოძიებაში.

7.2.1. ეკოსაგანმანათლებლო აქტივობები

2013 წლის განმავლობაში საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ასამაღლებლად დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა:

- ✓ შეხვედრები,
- ✓ ლექცია-სემინარები,

- ✓ ტრენინგები,
- ✓ ეკოგაკვეთილები ველზე,
- ✓ მწვანე აქციები,
- ✓ დასუფთავების აქციები,
- ✓ ეკო-ტურები
- ✓ სხვა სახის გარემოსდაცვითი აქტივობები.

სულ 2013 წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიების მიხედვით ლექცია-სემინარი გარემოს დაცვისა და დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის თემატიკით ჩაუტარდა 61,548-მდე მოსწავლეს და 3,613 სტუდენტს, მოეწყო 109 მწვანე აქცია, 108 დასუფთავების აქცია. სულ გარემოსდაცვით აქტივობებში ჩაერთო 79,705 ადამიანი.



7.2.2 2013-2015 წწ-ის ეკოსაგანმანათლებლო სტრატეგია და მოქმედების გეგმა

2013 წლის განმავლობაში სააგენტოში შემუშავდა 2013-2015 წწ-ის ეკოსაგანმანათლებლო სტრატეგია და მოქმედების გეგმა, რომლის მიხედვით მიმდინარეობს გათვალისწინებული ქმედებების განხორციელება/მონიტორინგი.

აღნიშნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია:

- ✓ ეკოგანათლება საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე;
- ✓ აუცილებლობები;
- ✓ ეკოგანათლების მიზნები;
- ✓ ეკოგანათლების პრინციპები;
- ✓ ეკოგანათლების სტრატეგია;
- ✓ ეკოგანათლების სამოქმედო გეგმა ;
- ✓ ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებები;
- ✓ თვითშეფასების კრიტერიუმები.

7.2.3 სოციოლოგიური გამოკითხვა დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაში

დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სოციოლოგიური კვლევის ცენტრის ,,გორბის"-ს მიერ მომზადებული - ,,საზოგადოებრივი აღქმისა და გავლენის მონიტორინგისა და შეფასების კითხვარის საშუალებით".

საქართველოს დაცული ტერიტორიების დამხმარე ზონის მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვა საშუალებას გვაძლევს ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- ✓ მოსახლეობის ცნობიერება;
- ✓ მოსახლეობის შიში და მოლოდინი დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში;
- ✓ სარგებელი და ზარალი;
- ✓ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი.

7.2.4 თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან

დაცული ტერიტორიების სააგენტო რამდენიმე წელია თანამშრომლობს ორგანიზაცია PH-International-თან, ხორციელდება ერთობლივი პროექტები სკოლის მოსწავლეებისთვის, რაც ხელს უწყობს მათ ჩართულობას სამოქალაქო აქტივობებში.

2012-13 წლებში სააგენტო ჩართულია ორგანიზაცია PH-International-ის მიერ ორგანიზებულ ბლოგერების კონკურსში, რომელიც ეწყობა უფროსკლასელთა შორის და მოიცავს სხვადასხვა რეგიონის სკოლებს.

2013 წელს ბლოგერების კონკურსში მონაწილეობა მიიღო 80 სკოლის 500-მდე მოსწავლემ. ჟიურის მიერ შეფასდა ბლოგები სხვადასხვა მიმართულებით: ახალგაზრდა განმანათლებელი, ახალგაზრდა ომბუცმენი, ბუნების დამცველი, ჯანსაღი ცხოვრების ადვოკატი, მოქალაქე ჟურნალისტი, ახალგაზრდა მოქალაქე, სასკოლო სამოქალაქო კლუბის ბლოგი. ბლოგის - ,,ბუნების დამცველი" შეფასებაში მონაწილეობდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს ეკო-

განათლების მთავარი სპეციალისტი. ,,ბუნების დამცველი"-ს ბლოგის კონკურსში მონაწილეობდა 20 მოსწავლე სხვადასხვა რეგიონიდან. აღნიშნული პროექტი ხელს უწყობს დაცული ტერიტორიებისა და გარემო დაცვის თემატიკით ინფორმაციის გავრცელებას, მოსახლეობის გარემოს დაცვითი ცნობიერების დონის ამაღლებას და მათ ჩართულობას პრობლემების გადაჭრაში.

PH-International-ის პროექტის ფარგლებში შედგა ბლოგების კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება. დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხრიდან მოსწავლეებს გადაეცათ ეკო-საგანმანათლებლო ფლეშ-თამაშის ,,ამოუცნობი მწვანე სამყარო" ელ. ვერსია CD-ს სახით. ბლოგერებმა გამოთქვეს სურვილი თამაშის ელ. ვერსია განათავსონ თავიანთ ბლოგებზე, რაც ხელს შეუწყობს მოზარდებში დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციას.

ორგანიზაცია ეკოხედვა/ECOVISION-ს ორგანიზებით შედგა შეხვედრა დოკუმენტის - ეკოხედვა/ECOVISION-GIZ საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხილვა/განახლება, სადაც მონაწილეობა მიიღო დაცული ტერიტორიების სააგენტომ. თემა: ,,საზოგადოებასთან კომუნიკაციის, განათლების, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მონაწილეობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა". თემატური მიმართულება - საზოგადოების მონაწილეობა და განათლება. შეხვედრაზე სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებისას გამოიკვეთა დაცული ტერიტორიების სააგენტოს ჩართულობა გარემოსდაცვით საკითხებში კომპეტენციის ფარგლებში.

7.2.5 აქტივობები მწვანე კალენდრის მიხედვით

USAID-ის INRMW – საქართველოს (ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა საქართველოს წყალშემკრებ აუზებში) პროექტის ფარგლებში მოსწავლე-ახალგაზრდებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ღონისძიება მოეწყო კოლხეთის ეროვნულ პარკში. ღონისძიებას ესწრებოდნენ ხონის და მარტვილის მუნიციპალიტეტის ეკო-კლუბის მოსწავლეები (სულ 24 მოსწავლე), ასევე USAID-ის, გარემოს დაცვის სამინისტროს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლები. აღნიშნულ ღონისძიებაზე სააგენტოს ეკო-განათლების მთავარი სპეციალისტის მიერ გაკეთდა პრეზენტაცია ჭარბტენიანი ტერიტორიებისა და დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის შესახებ. ამავე დღეს მოსწავლეებს საშუალება მიეცათ კოლხეთის ეროვნულ პარკში საველე პირობებში დაკვირვებოდნენ ფრინველებს და მონაწილეობა მიეღოთ ფრინველების დარგოლვაში.

სურ. ღონისძიება კოლხეთის ეროვნულ პარკში



ხოლო ეკო-საგანმანათლებლო საქმიანობაში მონაწილეთა რაოდენობა დაცული ტერიტორიების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:



7.3 ბუნებრივი რესურსების მართვა

დაცულ ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეგულირების ორგანიზაციისა და ბუნებათსარგებლობის რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმვისა და განვითარების სამსახური კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილების და დაცული ლანდშაფტების ბუნებრივი რესურსების მართვას. სამსახურის მოვალეობაში ასევე შედის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეგულირება, ორგანიზაცია და ბუნებათსარგებლობის რეჟიმის დაცვა.

7.3.1 ბუნებათსარგებლობის რეჟიმის დასაცავად მიმიართული ღონისძიებები

დაცული ტერიტორიების სააგენტო მართავს მის სისტემაში შემავალ 364,030 ჰა ტერიტორიას, სადაც დაცვის სამსახურში დასაქმებულია 272 თანამშრომელი, მათ შორის, 255 რეინჯერი და უფროსი რეინჯერი. თითოეულ რეინჯერზე სამართავად მოდის საშუალოდ 1,428 ჰა ტერიტორია.

2013 წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიების ტერიტორიული ადმინისტრაციების მიერ ჩატარდა 1,613 საკონტროლო რეიდი. 35,894-ჯერ ჩატარდა პატრულირება (მათ შორის ფეხით, ცხენით, ავტომანქანით, წყლის ტრანსპორტით). პატრულირების დროს გავლილმა მანძილმა დაახლოებით 1,102,065 კმ შეადგინა, მათ შორის, ფეხით - 385,233 კმ. ცხენით - 149, 427 კმ, ავტომანქანით - 561,935 კმ, წყლის ტრანსპორტით - 5,470 კმ.

7.3.2 რეინჯერთა საქმიანობის ინსტიტუციონალური განვითარება

რეინჯერთა სამსახურმა, თანამედროვე მოთხოვნების სტანდარტების მიახლოების მიზნით, მოიძია შესაბამისი ინფორმაცია. შეგროვდა ზოგადი ინფორმაცია და რეკომენდაციები საველე დაზვერვის, დაკვირვების ადგილების შერჩევის, მანქანიდან თვალთვალის, ბრაკონიერის გამოკითხვისა და ბრაკონიერების ქმედებების გამოძიების ტექნიკის შესახებ (ირემზე ბრაკონიერობა, უკანონო ნადირობა დათვზე, ბრაკონიერობა გარეულ ღორზე, ბრაკონიერობა ჯიხვზე და ნიამორზე). მოძიებულია ინფორმაცია ხანძრის საშიშროების კლასების შესახებ. მომზადდა ინფორმაცია და განისაზღვრა ვიზიტორთათვის დაცული ტერიტორიების ხანძრებისგან დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ.

დაცული ტერიტორიების ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომლებს ჩაუტარდათ სწავლების კურსი ბუნებრივი რესურსების სარგებლობის წესების განსაზღვრაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენასა და ზიანის გაანგარიშების შესახებ. სწავლება ჩაუტარდა თბილისის, ბორჯომ-ხარაგაულის, ალგეთის, იმერეთის და აჯამეთის დაცული ტერიტორიების თანამშრომლებს.

დაიხვეწა საპატრულო მარშრუტები , დაცვის სპეციფიკის, რელიეფის და სეზონების გათვალისწინებით. ტერიტორული ადმინისტრაციების მიერ მათი სამოქმედო ტერიტორიის სპეციფიკიდან გამომდინარე, რელიეფისა და წელიწადის დროების გათვალისწინებით

კარტოგრაფიული მასალების ელექტრონულ რუკებზე შემუშავებული და დატანილი იქნა google maps-ის პროგრამაში რეინჯერთა საპატრულო მარშრუტები.

7. 3. 3 სამართალდარღვევები

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2013 წლის 12 თვის მონაცემებით გამოვლენილი და სამართალდამცავ ორგანოებზე გადაცემულია 457 სამართალდარღვევის ფაქტი მათ შორის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 452 და 5 სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნის მქონე ფაქტი.

სამართალდამრღვევების მიმართ გამოყენებული ფოტოხაფანგები

გამოვლენილი ფაქტები სამართალდარღვევების მიხედვით შემდეგია: 9 - უკანონო თევზაობა, 164 - უკანონო ჭრა, 11 - უკანონო ნადირობა, 101 - უკანონო ძოვება, 50 - ნადიროების წესების დარღვევა, 24 - თევზაობის წესების დარღვევა, 98 - სხვადასხვა სამართალდარღვევა. სამართალდარღვევებზე დაკისრებული ზიანისა და ჯარიმის სავარაუდო თანხებმა შეადგინა 120,504 ლარი. 12 თვის განმავლობაში გამოვლინდა უკანონო ჭრა 776 მ^3-ზე.

რეინჯერთა მეთვალყურეობის ქვეშ დაცულ ტერიტორიებზე განთავსებულია 342 ფოტოხაფანგი, სადაც გარეული ცხოველების გადაადგილებასთან ერთად დაფიქსირდა 13 სურათი მოსახლეობის მხრიდან სამართალდარღვევებზე, კერძოდ: 7 სურათი უკანონო ნადირობაზე, ხოლო 2 სურათი - რეჟიმის დარღვევაზე, აგრეთვე დაფიქსირდა უკანონო ძოვების ფაქტები, რის საფუძველზეც შედგა სამართალდარღვევის 2 ოქმი.



სასამართლოზე გადაცემული უკანონო ქმედებებიდან ყველაზე მეტი კოლხეთის ეროვნულ პარკში დაფიქსირდა, სადაც გამოვლენილია 94 სამართალდარღვევის ფაქტი. უკანონოდ მოჭრილი ყველაზე მეტი (389 m^3-ის) მოცულობის ხეტყე გამოვლინდა კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. შემდეგ მოდის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია, სადაც გამოვლინდა 92 სამართალდარღვევის ფაქტი.

უკანონო ქმედებები არ გამოვლენილა ყაზბეგისა და იმერეთის მღვიმეთა დაცულ ტერიტორიებზე.

7. 3. 4 ხანძრებთან ბრძოლის ქმედებები

დაცულ ტერიტორიებზე 2013 წლის 12 თვის მდგომარეობით დაფიქსირდა ხანძრების 13 შემთხვევა, აქედან თითო შემთხვევა იყო ბორჯომის, ჭაჭუნასა და ალგეთის დაცულ ტერიტორიებზე.10 ფაქტი დაფიქსირდა ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, სადაც ხანძრის კერები რეინჯერების ოპერატიული ქმედებების შედეგად იქნა ლიკვიდირებული.

7. 3. 5 ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

ადგილობრივი მოსახლეობის ხეტყით უზრუნველყოფის მიზნით 2012-2013 წლისთვის გამოყოფილი იყო 29,192 m^3-ზე ხეტყე. აღნიშნული ხეტყიდან 12 თვის მონაცემებით ადგილობრივ მოსახლეობაზე გაცემულია 20,893 m^3, რაც გამოყოფილი ხეტყის 71%-ს შეადგენს. აღნიშნული მერქნიდან 120 m^3-ზე პირველი ხარისხის, ხოლო 20,773 m^3-ზე მეორე ხარისხის (საშეშე) ხეტყე გაიცა. აღნიშნული ხე-ტყით, საშუალოდ ისარგებლა 4,180 ოჯახმა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ შეტანილი იქნა დაახლოებით 67,000 ლარი.

7. 3. 6 ცვლილებები დაცული ტერიტორიების ზონირებაში

თბილისის ეროვნული პარკის, ყორუღის, იორის, ჭაჭუნისა და ლაგოდეხის აღკვეთილის ტერიტორიებისათვის სამსახურმა მოამზადა შესაბამისი მასალები ზონირების ცვლილებებთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე ცვლილებები განხორციელდა დროებით რეგულირების წესებში. აგრეთვე საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა ქობულეთის დაცული ტერიტორიების დროებითი რეგულირების წესი, ჯავახეთისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმები. აღნიშნულის შესაბამისად თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე შეიცვალა შიდა ზონების საზღვრები კერძოდ გაფართოვდა თბილისის პარკის ისტორიულ კულტურული ზონა. აგრეთვე გაფართოვდა ლაგოდეხის აღკვეთილის ტერიტორია.

მომზადდა შესაბამისი პროექტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის აბასთუმნის უბნის ვიზიტორთა ზონის 45,46,47,48 კვარტლებში და 49 კვარტლის ნაწილში, ხანძრებისგან დაცვის მიზნით ტყის მასივებში არსებული მდელოების გათიბვის შესახებ.

7. 3. 7 კონფლიქტი მოსახლეობასა და ველური ბუნების წარმომადგენლებს შორის

ჭაჭუნის აღკვეთილის, ალგეთის, თუშეთის, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის, და მის შემოგარენში დაფიქსირდა ნადირის მიერ შინაური ცხოველების დაგლეჯისა და შეჭმის 145 შემთხვევა, კერძოდ: მგლის მიერ დაახლოებით 5 ღორის, 2 გოჭის, 30 ძროხის, 2 კვიცის და 100 ცხვრის. მწყემსებისგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაფიქსირდა აფთარის მიერ 2 ძროხის დაგლეჯის ფაქტი, 3 ხბოს ფოცხვერისგან დაგლეჯის ფაქტი. დათვის მიერ 1 ცხენის დაგლეჯისა და 64 ფუტკრის სკის განადგურების ფაქტი (თუშეთი და ვაშლოვანი).

7. 3. 8 დაცული ტერიტორიების საზღვრების დადგენისათვის განხორციელებული ქმედებები

წარსულში თბილისის ეროვნული პარკისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საზღვრები დადგენილი იქნა ტყეთმოწყობის რუკების საფუძველზე. აღნიშნული რუკების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანის შემდგომ გამოიწვია რიგი უზუსტობები. უზუსტობების შედეგად დაცული ტერიტორიების საზღვრებში მოექცა რამდენიმე ასეული კერძო საკუთრება, რაც დღესდღობით სერიოზულ პრობლემას ქმნის მოსახლეობასთან ურთიერთობაში. ამ საკითხის მოგვარების მიზნით სააგენტომ აქტიური თანამშრომლობა გაწია საჯარო რეესტრთან და სვადასხვა უწყებებთან, რის შედეგადაც შექმნილია სამთავრობო კომისია, რომელიც იმსჯელებს პრობლემური საზღვრების გამიჯვნის საკითხებზე. ამავდროულად 2014 წლისათვის საზღვრების დაზუსტებისა და მისი დემარკაციის მიზნით გამოიყოფა შესაბამისი დაფინანსება.

7. 3. 9 დაცული ტერიტორიების სისტემის ტერიტორიული გაფართოება

დაცული ტერიტორიების ფართობის ზრდა და მართვა სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი მიზანია. ამ მიმართულებით შეიქმნა ბუნების ძეგლების განმსაზღვრელი კომისია, რომელმაც დაიწყო ბუნების ახალი ძეგლების იდენტიფიცირება მათი კანონმდებლობით დამტკიცების მიზნით: კომისიამ პირველი ეტაპისათვის განსაზღვრა 100-ზე მეტი პოტენციური ობიექტი, საიდანაც მოხდა განსაკუთრებული მახასიათებლებით გამორჩეული ბუნებრივი ობიექტების შერჩევა. 16 ბუნების ძეგლისგან შემდგარი ნუსხა განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცა საქართველოს პარლამენტს, რომელიც რამდენიმე თვეში დამტკიცდა.

აღნიშნულის შესაბამისად საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 20 თებერვლის ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად აღნიშნულ 16 ბუნების ძეგლს 1427,9 ჰექტარზე მიენიჭა დაცული ტერიტორიის სტატუსი.

7.4 სამეცნიერო კვლევა/მონიტორინგი

საქართველოში ბიომრავალფეროვნებისა და არსებული გენეტიკური რესურსის დაცვა, შემდგომი თაობებისათვის გადაცემა, შენარჩუნება, ბუნებრივი რესურსების სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა და მონიტორინგი, წარმოადგენს დაცული ტერიტორიების დაარსების ძირითად მიზნებს და დღესდღეობით ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა დაგეგმილ საქმიანობებს შორის. ბიომრავალფეროვნების შესახებ მონაცემების შეგროვება მნიშვნელოვანია

ქვეყნისათვის, რათა არსებობდეს ინფორმაცია გენეტიკური რესურსის იმ დაცულ ნაწილზე. რომლის შენარჩუნების პასუხისმგებლობა აკისრია სახელმწიფოს.

სამეცნიერო კვლევა/მონიტორინგს დაცულ ტერიტორიებზე აწარმოებენ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები და სხვადასხვა სამეცნიერო ჯგუფები. ამ მიმართულებით განხორციელებულია შემდეგი საქმიანობები:

- **ბუნებრივი რესურსების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება**

სააგენტოს მიერ მუდმივად წარმოებს არსებული ბუნებრივი რესურსის რიცხოვნობის შესახებ მონაცემების შეგროვება, რათა ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნას არსებული რესურსის შესახებ, ასევე მათი ზრდისა და კლების ტენდენციებზე. შეგროვებული მონაცემები მეტყველებს დაცული ტერიტორიების დაცვითი საქმიანობების გაუმჯობესებისა და გაუარესების შესახებ, რადგანაც ცხოველებისა და მცენარეების პოპულაციების ეკოლოგიური წონასწორობა პირდაპირ კავშირშია, როგორც აბიოტური (არაცოცხალი ბუნების) ფაქტორების, ასევე ბიოტური (ცოცხალი ბუნების) ფაქტორების ზემოქმედებასთან, სადაც ადამიანის როლი მრავალ ცოცხალ არსებას უქმნის საფრთხეს.

სააგენტომ 2013 წლის განმავლობაში მოახდინა ტერიტორიული ადმინისტრაციების მიერ შეგროვილი და მოწოდებული ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და ერთიანი მონაცემების მომზადება ფლორისა და ფაუნის რიცხოვნობის შესახებ. ეს მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:



სურ. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული ცხოველების რიცხოვნობა 2013 წლის მონაცემებით.

აღსანიშნავია კეთილშობილი ირემის პოპულაციის ზრდის დინამიკა. ეს სახეობა გადაშენების პირასაა. მისი პოპულაციები მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელებულია ლაგოდეხისა და ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე. მომცრო ზომის პოპულაციები ასევე გვხვდება თბილისის ეროვნულ პარკსა და გარდაბანში, ხოლო გასული 2 წლის განმავლობაში ირმის მოზრდილი ჯოგის გადაადგილება დაფიქსირდა თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე, სადაც უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ირემი არ დაფიქსირებულა. შეგროვილი ინფორმაცია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ყოველწლიურად მიეწოდება სტატისტიკის სააგენტოს, შემდგომ ეტაპზე ინფორმაცია თავსდება ეროვნულ მოხსენებაში.

- **წითელი ნუსხის სახეობებზე მონიტორინგი**

დაცული ტერიტორიების სააგენტოსათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საქართველოს წითელი ნუსხის დაცულ სახეობებზე მონიტორინგის ჩატარება. სწორედ ამ მიზნით ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციები ირმის „მყვირალობის“ დროს ატარებენ ირმების აღრიცხვასა და მონიტორინგს.

ლაგოდეხის ნაკრძალში ნიმუშებიანი სტრატების ფართობმა შეადგინა 40 ჰა. ამავე სტრატებზე, ნიმუშის საერთო რაოდენობამ შეადგინა 62. აღრიცხვების სუფთა ხანგრძლივობა იყო 3 დღე. სუფთა ხანგრძლივობაში იგულისხმება უშუალოდ ჩატარებული აღრიცხვების პერიოდი და არა

ექსპედიციის ხანგრძლივობა, რაც თავისთავად გაცილებით უფრო ხანგრძლივია. ანალიზის შედეგად რიცხოვნობამ შეადგინა 537 ირემი. ხოლო სიმჭიდროვემ კი 0.02 -1 ჰა ფართობზე.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ნიმუშებიანი სტრატების ფართობმა შედაგინა 22 ჰა. ამავე სტრატებზე, ნიმუშების საერთო რაოდენობამ შეადგინა 13. აღრიცხვების სუფთა ხანგრძლივობამ 5 დღე. სუფთა ხანგრძლივობაში იგულისხმება უშუალოდ ჩატარებული აღრიცხვების პერიოდი და არა ექსპედიციის ხანგრძლივობა, რაც თავისთავად გაცილებით უფრო ხანგრძლივია. ანალიზის შედეგად რიცხოვნობამ შეადგინა 340 ირემი. ხოლო სიმჭიდროვემ კი 0.004 – 1 ჰა ფართბ ტერიტორიაზე.



კეთილშობილი ირმის რიცხოვნობა 2013 წლის მონაცემებით ლაგოდეხის და ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე

- **რეინტროდუცირებული სახეობები - ქურციკი (ჯეირანი)**

ქურციკი (ჯეირანი)

წვრილჩლიქოსნების რიგის მცირე ზომის წარმომადგენელია. იგი საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში: სამგორის, ყარაიას, შირაქისა და ელდარის ველებსა და ნახევრად უდაბნოს ზონაში გვხვდებოდა. ეს სახეობა სამწუხაროდ საქართველოში XX საუკუნის ბოლოს გადაშენდა.

ჯეირნის აღდგენის მიზნით 1990 წელს ვაშლოვანის ადმინისტრაციის მიერ შუააზიიდან (ბუხარა) ჩამოუყვანეს 10 ინდივიდი, თუმცა რეინტროდუქცია ძალიან წარუმატებლად დამთავრდა.

მეორე მცდელობა იყო 2009 წელს თურქეთიდან შემოიყვანეს 10 ინდივიდი და სამწუხაროდ რეინტროდუქცია ამჯერადაც წარუმატებლად დამთავრდა. რიგი ფაქტორების გამო ჯეირნები დაიღუპნენ. მიუხედავად იმისა, რომ ვოლიერში მყოფი მუდმივად იმყოფებოდნენ დაცვის ქვეშ, ანუ დაცულები იყვნენ მტაცებლებისაგან მგელის და ტურისაგან, მათი სხვა ბუნებრივი მტრები არანაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდნენ. რამდენიმე ინდივიდი დაიღუპა გველის ნაკბენისაგან, ახალშობილები, მიუხედავად ტერიტორიის პირეტროიდით დამუშავებისა, და დეზოხალიჩების გაკეთებისა, დაიღუპნენ ნიადაგის პარაზიტული ტკიპების ნაკბენისაგან. დარჩენილიმა რამდენიმე ინდივიდმა კი ვაშლოვანისათვის უჩვეულო ტემპერატურულ ვარდნას ვერ გაუძლეს.

2013 წელს WWF-ის დახმარებით განხორციელდა აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან ჯეირნის რეინტროდუქცია. ამ ჯერზე გამოიყვანეს რეინტროდუქციის სხვა მეთოდი - ინდივიდები პირდაპირ ველზე გაუშვეს. 2 მათგანს მიმაგრებული აქვს სატელიტური საყელო, რომელიც იძლევა საშუალებას მათი გადაადგილების ტრაექტორიის კომპიუტერში ასახვას და მონიტორინგის წარმოებას. დრევანდელი მონაცემებით ორიდან ერთ-ერთი კვლავ ვაშლოვანის ტერიტორიაზეა, მეორე კი შეჭმეს მტაცებლებმა.

ნიამორი - ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ნიამორის ვოლიერში აღირიცხებოდა ნიამორის 6 ინდივიდი, თუმცა ივნისის თვეში 1 ინდივიდი დაიღუპა. დღესდღეობით ვოლიერში იმყოფება 5 ერთეული, 3 მამრი და 2 მდედრი. სამწუხაროდ პროგრამის საწყის ეტაზპე არასწორად დაგეგმილი ღონისძიებების გამო, ეს პროექტი არ შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად.

დაცულ ტერიტორიებზე განხორციელებული სამეცნიერო კვლევები

საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მწირი დაფინანსების გამო ვერ ხორციელდება საკუთრივ სამეცნიერო კვლევები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო დაცულ ტერიტორიებზე მხარს უჭერდა და ხელს უწყობდა სხვა კვლვევითი ორგანიზაციების მიერ სამეცნიერო პროექტებისა და კვლევების განხორციელებას. ასეთი დახმარება ზოგჯერ

თვით კვლევის პროცესში ჩაბმას გულისხმობს, დამატებითი და არსებული ინფორმაციის და ლიტერატურული მასალების მიწოდებას, საჭიროებისამებრ მონიტორინგის განხორციელებას კონკრეტულ ობიექტებზე, ზოგჯერ გამყოლის როლის შესრულებას ადმინისტრაციის თანამშრომლის მიერ და ა.შ. სანაცვლოდ სააგენტო კვლევის შემდგომ იღებს კვლევის შედეგებს ანგარიშის სახით, რაც გარკვეულ წილად ეხმარება სააგენტოს ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაციის შევსებაში.

2000-2013 წლებში საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე განხორციელებული კვლევები რაოდენობის მიხედვით არის შემდეგი.



დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევების სტატისტიკა 2000 -2013 წწ.

ანალიზი: აღნიშნული გრაფიკიდან ჩანს, რომ სამეცნიერო კვლევების რაოდენობის მიხედვით მათი მაქსიმალური მაჩვენებელი 2010 წელს გამოვლინდა, ხოლო შემდგომ ეტაპებზე გარკვეული კანონზომიერებით იკლო. სამეცნიერო კვლევების დარგების მიხედვით პროცენტული მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ ზოოლოგიურ და ბოტანიკურ კვლევებს უკავიათ დომინანტი მდგომარეობა. ხოლო დანარაჩენი დარგებისადმი ინტერესი დაცული ტერიტორიებისადმი მერყეობს 1-დან 6 % -ის ფარგლებში.



სამეცნიერო კვლევების დარგების მიხედვით პროცენტული მაჩვენებელი ბოლო 13 წლის განმავლობაში

- **ილიას უნივერსიტეტის კვლევა მსხვილფეხა ჩლიქოსანთა რაოდენობის დასადგენად -** საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების ზ. გურიელიძის, ა. გავაშელიშვილის, ზ.ჯავახიშვილისა და სხვა მკვლევარების მიერ ჩატარდა საქართველოს „წითელი ნუსხი“-ს სახეობების აღრიცხვა.

საქართველოს მასშტაბით კვლევა მოიცავდა თუშეთის ყაზბეგის, ფშავ-ხევსურეთის და ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებს. აღრიცხვისათვის გამოყენებული იყო რიცხოვნობის სწრაფი შეფასებისთვის საერთაშორისო მიღებული მეთოდები: საჰაერო აღრიცხვები ვერტმფრენის გამოყენებით, აღრიცხვები არაფიქსირებული სიგანის ტრანსექტებზე, აღრიცხვები დატოვებული ნიშნების მიხედვით, (ამ შემთხვევაში ექსკრემენტების მიხედვით). ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია აღრიცხვის შედეგები:



ჩატარებული აღრიცხვის საერთო მონაცემები

აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვი: ჰაბიტატი განსაზღვრულია როგორც 200,000 ჰა. ტრანსექტების (5 ტრანსექტი) საერთო სიგრძემ შეადგინა 542 კმ. დაფარული იყო აღმოსავლეთ კავკასიონის მთლიანი ტერიტორია. საშუალო სიმჭიდროვემ შეადგინა 1 ჰექტარზე 0.029 ჯიხვი, ხოლო საერთო რიცხოვნობამ შეადგინა 5,805 ჯიხვი. ლაგოდეხის ნაკრძალში ჩატარებული აღრიცხვის შედეგად ჯიხვის რიცხოვნობამ შეადგინა 492 ინდივიდი, ხოლო სიმჭიდროვემ კი 0.65 1 ჰა-ზე. თუშეთში ჯიხვის რიცხოვნობა აღრიცხვების ანალიზის შესაბამისად შეადგენს 3,584 ინდივიდს, ხოლო სიმჭიდროვე - 0.36, 1ჰა-ზე. ხევსა და ხევსურეთში ჯიხვის რიცხოვნობამ შეადგინა 1,134 ინდივიდი, სიმჭიდროვე კი - 0.75, 1 ჰა-ზე.



დიაგრამა. აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვის რიცხოვნობა ლაგოდეხში, თუშეთში, ხევსა და ხევსურეთში.

დასავლეთკავკასიური ჯიხვი: საჰაერო აღრიცხვებმა, 2012 წლის შედეგების მსგავსად, აჩვენა რომ დასავლეთკავკასიური ჯიხვის რიცხოვნობა ისევ კრიტიკულ დონეზე რჩება. მიღებული მონაცემები იმდენად მწირია, რომ მისი სტატისტიკური ანალიზი შეუძლებელია. ერთეული ინდივიდების პერიოდული შემოსვლების (გაზაფხული ზაფხული) გათვალისწინებით. ექსპერტული შეფასებით დასავლეთკავკასიური ჯიხვის რაოდენობა საქართველოში არ უნდა აღემატებოდეს 100-150 ინდივიდს.

ნიამორი: ამ სახეობის მხოლოდ ერთი პოპულაცია არის გავრცელებული საქართველოში. ეს გახლავთ თუშეთ-ხევსურეთის პოპულაცია. მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად ნიამორის რიცხოვნობა შეადგენს 310 ინდივიდს, ხოლო სიმჭიდროვე - 0.12-ს 1 ჰა-ზე .

მიღებული შედეგების ანალიზის შესაბამისად არჩვის რიცხოვნობამ დიდ კავკასიონზე შეადგინა 3,267 ინდივიდი, ხოლო სიმჭიდროვე - 0.52. კონსერვაციული სტატუსი შეიძლება შეფასდეს როგორც მოწყვლადი (VU).

სულ 2013 წლის განმავლობაში განხორციელდა 15 სამეცნიერო კვლევა, თუმცა, ზოგიერთი მათგანი მოიცავდა ერთდროულად რამდენიმე დაცულ ტერიტორიას.

- **ფოტოხაფანგებით მონიტორინგის შედეგები**

ფოტოხაფანგების დაყენება პირველად მოხდა ვაშლოვანის ეროვნულ პარკში არასამთავრობო ორგანიზაცია NACRES-ის მიერ. მაშინვე დაფიქსირდა ჯიქის არსებობდა დაცულ ტერიტორიაზე. მოცემული შემთხვევის შემდგომ სააგენტომ დამატებით შეიძინა ფოტოხაფანგები ბორჯომ-ხარაგაულის, ლაგოდეხისა და სხვა დაცული ტერიტორიებისათვის. აღნიშნული

ფოტოხაფანგები ხელს უწყობს არა მხოლოდ ცხოველების აღრიცხვას, არამედ მათი გავრცელების არეალებისა და სამიგრაციო გზების და ასევე უკანონო ქმედებების გამოვლენას.

მიუხედავად იმისა, რომ ფოტოხაფანგების გამოყენებას მრავალი სასიკეთო მხარე აქვს მას აქვს გარკვეული ხარვეზებიც: არ იძლევა სხვადასხვა სახეობების ზუსტი რაოდენობის დადგენის საშუალებას; ასევე ფოტოხაფანგების ელემენტები გამოცვლას და მუდმივ ყურადღებას საჭიროებს, რაც საკმაოდ რთულია მიუვალ ადგილებში დაყენებულ კამერებთან მიმართებაში.

შეგროვებულია ფოტოხაფანგის საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია, დაცულ ტერიტორიებზე დაფიქსირებული ძუძუმწოვრების მონაცემები:

- ✓ ალგეთის ეროვნული პარკი - მურა დათვი, მგელი, მელა, ფოცხვერი, შველი, კურდღელი,გარეული ღორი, ციყვი;
- ✓ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი - ირემი, შველი, არჩვი, გარეული ღორი, მგელი, მურა დათვი, ტყის კატა, ფოცხვერი, კურდღელი;
- ✓ კინტრიშის დაცული ტერიტორიები - არჩვი, მგელი;
- ✓ ლაგოდეხის დაცული ტერიტორია - ჯიხვი, კვერნა, შველი;
- ✓ სათაფლიას სახელმწიფო ნაკრძალი - შველი;
- ✓ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები - ფოცხვერი, კურდღელი, მგელი, ღორი,მაჩვზღარბა, მაჩვი, მელა;
- ✓ ჭაჭუნას აღკვეთილი - მგელი, მელა, გარეული ღორი.
- ✓ კოლხეთის ეროვნული პარკი - შველი;
- ✓ მტირალას ეროვნული პარკი - დათვი, არჩვი, შველი, ციყვი;
- ✓ თბილისის ეროვნული პარკი - შველი;
- ✓ თუშეთის დაცული ტერიტორიები - არჩვი, მურა დათვი და ციყვი.